ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ა(ა)იპ ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზიის რექტორი:
**მელქისედეკი (ხაჩიძე)**
მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი
ბრძანება №04/2;24.01.2023 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის
2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა

ხარაგაული
2023 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

## სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- ✓ **ასინქრონული სწავლება** - დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლევებელი და მოსწავლე(ები) ერთდროულად ან სხვადასხვა დროს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას ფრეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე, იყენებენ ან ციფრულ რესურსებს, ან აუდიო და/ან ვიდეოფაილებს, ან ტელეთერს.
- ✓ **დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა** – ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საათების გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად, სსსმ მოსწავლესთან მუშაობა;
- ✓ **ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები** - გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც ყველა საგანში შეძენილი ცოდნა უნდა ემსახურებოდეს;
- ✓ **ექსტერნატი** – პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- ✓ **თემატური საკვანძო შეკითხვები** - აკავშირებს სასწავლო თემას/თემატურ ბლოკს, საკითხებს სტანდარტის შედეგებთან, სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. *მათი ფუნქციაა:* მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა და შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა;

  **ზოგადი განათლება** – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;
- ✓ **ინკლუზიური განათლება** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;
- ✓ **კლასი** – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს;
- ✓ **მკვიდრი წარმოდგენები** – განისაზღვრება თემების მიხედვით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის

ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მან თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა შეძლოს;

- ✓ **სასკოლო სასწავლო გეგმა** – სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;
- ✓ **სასწავლო თემები** - წარმოადგენს სასწავლო ერთეულს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება შედეგები და ცნებები;
- ✓ **საგნის სწავლა-სწავლების მიზნები** - აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი ჯგუფის მიზნებს კერძო საგნის კონტექსტში;
- ✓ **საგნობრივი ჯგუფის მიზნები** - აზუსტებს და აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს საგნობრივი ჯგუფის სფეროს ფარგლებში. საგნობრივი ჯგუფის მიზნების განხორციელებას ემსახურება საგნობრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები;
- ✓ **საგნობრივი სტანდარტი** - განსაზღვრავს ცოდნის სავალდებულო მინიმუმს, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე საფეხურის ბოლოს. იგი პასუხობს შეკითხვებს: რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რა უნდა შეეძლოს მას, რა ღირებულებებით უნდა აღიზარდოს იგი კონკრეტული საგნის ფარგლებში;
- ✓ **საგნობრივი საკითხები** - განისაზღვრება სტანდარტის შინაარსის ფარგლებში. **სტანდარტის შედეგები** - საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. შედეგები აღიწერება პროცედურული და პირობისეული ცოდნის სახით. სწავლა-სწავლება, ისევე როგორც შეფასება, უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შედეგებზე დაყრდნობით;
- ✓ **საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები** – ისინი თემატური საკვანძო შეკითხვებისგან განსხვავებით სავალდებულო ხასიათისაა. საფეხურებრივი შეკითხვები განზოგადებულად განსაზღვრავენ ვექტორებს, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს;
- ✓ **სინქრონული სწავლება** - დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მმასწავლევბელი და მოსწავლე(ები) მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა დაპაროლლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლათფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მყისიერად დასვან შეკითხვები ან უპასუხონ მათ;
- ✓ **სტანდარტის შინაარსი** - განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულოცნებების, სასწავლო თემების/თემატური ბლოკების/ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით;
- ✓ **შეფასების ინდიკატორები** - გამომდინარეობსშედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის

თემაში რეალიზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის;

- ✓ **შემაჯამებელი კომპლექსური დავალება** – განისაზღვრება თემების მიხედვით დაწარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას;
- ✓ **ცნებები** - საგნის სისტემური და გააზრებული ცოდნის საფუძველი ამ საგნის ძირითად ცნებათა სისტემაა. ცნებები შედეგის განუყოფელი ნაწილი და სასწავლო პროცესის მიზნობრივი ორიენტირია. ცნების სწავლა-სწავლება მოიცავს მის სამ სტრუქტურულ ელემენტს: ტერმინს (ცნების აღმნიშვნელი სიტყვა), ცნების შინაარსს (ცნების განმსაზღვრელი, არსებითი ნიშან-თვისებები) და ცნების მოცულობას (მაგალითების/შემთხვევების სიმრავლე, რომლებსაც ეს ნიშან-თვისებები მიესადაგება);
- ✓ **ცოდნა** - ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიულის - თეორიების, ფაქტების, წესების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. *სტატიკური ხასიათისაა* და უპასუხებს შეკითხვას: *რა ვიცი?,* პროცედურულის - ქმედების/ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების/პროცედურების დონეზე. *დინამიკური ხასიათისაა,* აღიწერება, როგორც უნარი და უპასუხებს შეკითხვას: *როგორ გავაკეთო?/როგორ შევასრულო?,* პირობისეულის - დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას. უპასუხებს შეკითხვებს: *როდის, რა შემთხვევაში? რატომ?* ერთიანობა, რომელიც სამი ტიპის შეკითხვას პასუხობს: *რა ვიცი? როგორ შევასრულო? როდის, რატომ, რა შემთხვევაში გამოვიყენო?*

**წლიური პროგრამა** – გვიჩვენებს სასწავლო პროცესში საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების რეალიზების გზებს. სტანდარტისგან განსხვავებით, წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა;

**ჰიბრიდული** - სწავლების მოდელი - (დასწრებით სწავლებისა და ელექტრონული სწავლების რომელიმე ფორმის კომბინაცია), რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული (სინქრონული სწავლება - დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები) მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მყისიერად დასვან შეკითხვები ან უპასუხონ მათ.

## თავი I. ზოგადი დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება 2011-2016 წწ. (I-XII კლასები) და 2018-2024 წწ. (I – VII კლასები) ეროვნულ სასწავლო გეგმას, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებებს, რეკომენდაციებს.

გიმნაზია საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალური რესურსების გამოყენებით უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და სასწავლო რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გამოყენებული სწავლის მეთოდები მორგებულია თითოეული მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფებისა და მთელი კლასის საჭიროებებზე, რომელთა მეშვეობითაც გიმნაზია შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, საკითხების საფუძვლიანად განხილვას. სგიმნაზიაში უზრუნველყოფილია მშვიდი, ეკოლოგიურად სუფთა და საქმიანი სასკოლო სასწავლო გარემო.

### 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები

სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) სკოლის მისია, ხედვა და მიზანი;

ბ) სასკოლო საათობრივი ბადე;

გ)გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;

დ)მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვა);

ე)ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

ვ) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;

ზ) შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყენებით გიმნაზიის IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი – IX კლასში, 4 გაკვეთილი – XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი;

თ)ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

ი)დამხმარე ლიტერატურისა და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, კლასების, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად;

კ)ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა/ნიმუში სსსმ მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

ლ)დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;

მ)სასწავლო წლის კალენდარი;

## 1.2 გიმნაზიის მისია, ხედვა, მიზანი

### გიმნაზიის მისია

ზოგადი განათლების სამივე - დაწყებითი, საბაზო, საშუალო სფეხურებზე ხარისხიანი, სრულფასოვანი, აკადემიური განათლების მიცემა, ზნეობრივად ჯანსადი თაობის აღზრდა, მოზარდის შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებაში ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ეფექტური, მშვიდი, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა, სწავლისათვის საჭირო პოზიტიური დამოკიდებულების, სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესის ჩამოყალიბება და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხელშეწყობა, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი მუდმივი განათლების, მომავალი გზის სწორად არჩევისა და შრომის ბაზარზე არჩევანის გაკეთებისათვის; ტოლერანტი, ქვეყნის საკუთარი და სხვისი ინტერესების დამცველი მოქალაქის აღზრდა.

გიმნაზიის მისიის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ან/და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

### გიმნაზიის ხედვა

ზოგადი განათლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, დისციპლინაზე დაფუძნებული, მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაში ხელშეწყობა, სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბება, გიმნაზიის განახლებული სასწავლო პროგრამებითა და გამართული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ინოვაციებს, სრული ზოგადი განათლების მქონე მოზარდის მომზადება საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც დაეხმარება კურსდამთავრებულებს გააკეთონ სწორი არჩევანი მომავალი ცხოვრების გზაზე დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის. პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

გიმნაზიის მიზანია:

- ზოგადი განათლების მიცემა მოსწავლეთათვის დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე;
- მოსწავლეების აღზრდა ეროვნულ–კულტურული, სულიერი და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად;
- მოსწავლეთა პროფესიული კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა, პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებილი სასკოლო სასწავლო გარემოს შექმნა;
- კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიების გმოყენება;
- მოსწავლეებში გუნდური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებაში ხელშეწყობა;
- მოსწავლეებისათვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობის მიცემა;
- სხვადასხვა პროექტებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში ხელშეწყობა;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, სწავლებისა და აღზრდის სტანდარტზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

- მოსწავლეთათვის წინაპირობების შექმნა, რათა მათ სწორად აირჩიონ თავისი მომავალი განვითარების გზა;
- სსსმ მოსწავლეთათვის განათლებაში ხელშემწყობი გარემოს შექმნა;
- მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარებაში ხელშეწყობა;
- კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება;

## თავი II

## მუხლი 2. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, მიღება, გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, მოსწავლეთა შეფასება

### 2.1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და მიღება

სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებულია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული დატვირთვა აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში, გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. აგრეთვე, გიმნაზიაში მიმდინარე კლასგარეშე სასწავლო-შემეცნებითი საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელსაც შეიმუშავებს დირექცია და ადმინისტრაცია, სასკოლო სასწავლო გეგმის/პროექტის შემუშავება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, ხდება დირექციისა და ადმინისტრაციის მიერ, რომელიც განსახილველად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე და პედსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მტკიცდება რექტორის მიერ სასწავლო წლის დაწყებამდე, არაუგვიანეს ერთი კვირისა. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება პედსაბჭოს გადაწყვეტილებით ან/და რექტორის ბრძანებით.

გიმნაზია, როგორც ზოგად დებულებამია მითითებული, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას, ძირითადად ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, რეკომენდაციებით და 2011-2016წწ. და 2018-2024 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმებით, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ" და „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და მინისტრის ბრძანებით (№95/ნ; 09.09.2020წ.) ასევე, ითვალისწინებს მოსწავლეების და მშობლების კანონიერ ინტერესებს.

### 2.2. გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

გიმნაზიაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი.

გიმნაზიაში ბავშვის მისაღებად მშობელმა/მშობლის კანონიერმა წარმომადგენელმა (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირი) უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება რექტორის სახელზე - სასწავლო წლის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში;

ბ) დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული, რომელზეც მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო რეესტრის მიერ მინიჭებული პირადი ნომერი;

გ) ორი ფოტოსურათი - ზომით **3x4**;

დ) ჯანმრთელობის ცნობა;

ე) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

ვ)მშობლის კანონიერი წარმომადგენლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ)უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში, განათლების აღიარების დოკუმენტი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში, მოსწავლის შესაბამის კლასში ჩასარიცხად, მშობელმა/მშობლის კანონიერმა პირმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, ხოლო მოსწავლის სრულყოფილად შევსებული (შეფასება (მიმდინარე/საბოლოო აკადემიური მოსწრების პედაგოგიური დაკვირვების შედეგი, კომენტარები და ინფორმაცია გაცდენებზე) პირადი საქმე წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ფოსტის მეშვეობით, გამოგზავნაზე პასუხისმგებელია გამომგზავნი სკოლა.

მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვამდე, გიმნაზია ჩასარიცხი მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის თავსებადობის დადგენის მიზნით, ჩასარიცხ მოსწავლეს დაწყებით (I-IV) კლასებში უტარებს ზეპირ გასაუბრებას. ეს პროცედურა გიმნაზიას საშუალებას აძლევს, დაადგინოს მოსწავლის მიერ საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების დაფარვის დონე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისათვის ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა კლასისა და საგნის გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით.

მოსწავლეთა ჩარიცხვა გიმნაზიაში ხორციელდება სამართლებრივი აქტის/ბრძანების საფუძველზე.

პირველ კლასში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელსაც ენიჭება ნომერი მოსწავლის ანბანური ჩანაწერის წიგნის მიხედვით.

გიმნაზიაში ჩარიცხვის შემთხვევაში, დირექცია მოსწავლესა და მშობელს/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს.

გიმნაზიის თითოეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობაა - 10, მაქსიმალური - 20; კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ზარიერია 5,0 ქულა და მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა საშემოდგომო გამოცდა წინასწარ შედგენილი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მიერ შედგენილი და აღმასრულებელი დირექტორის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ჩააბარებს საგნის პედაგოგის მომზადებული და აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებული დავალების საფუძველზე.

## 2.3. მოსწავლეთა შეფასება

გიმნაზიაში მოსწავლეთა შეფასების მიზანია სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, რაც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ხარისხთან.

გიმნაზია სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობის დაცვას, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, მოსწავლის მოტივაციის გაზრდას. გიმნაზიაში შექმნილია მშვიდი, უსაფრთხო და საქმიანი სასკოლო სასწავლო გარემო. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაეხმარონ ერთმანეთს და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესში.

დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოსწავლეები შეფასდებიან I, IV და V (პირველი სემესტრი) კლასებში განმავითარებელი, ხოლო V (მეორე სემესტრი) - XII კლასებში განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით გიმნაზიის მიერ თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურად შეთავაზებული ფორმით.

დისტანციური სწავლების პერიოდში, მოსწავლეთა ონლაინ (ჰიბრიდული ფორმით) სწავლებასთან დაკავშირებით, სემესტრული და წლიური ქულების გამოანგარიშება მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციის შესაბამისად.

განმსაზღვრელი შეფასების და წლიური ქულის გამოყვანის მიზნით, მოსწავლის 2022-2023 სასწავლო წლის წლიურ ქულად სკოლის მიერ თითოეული მოსწავლისთვის დადგენილია წესები საქართველოს განათლებისა და სამინისტროს რეკომენდაციის შესაბამისად.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

| | |
|---|---|
| პრობლემების გადაჭრა | ✓ პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება;<br>✓ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა. |
| კრიტიკული აზროვნება | ✓ ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება;<br>✓ შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება;<br>✓ არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;<br>✓ გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება. |
| შემოქმედებითი აზროვნება | ✓ ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;<br>✓ ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა, ახლის შექმნა;<br>✓ დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;<br>✓ სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ;<br>✓ გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა. |

| | |
|---|---|
| თანამშრომლობა | ✓ სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს;<br>✓ მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის);<br>✓ განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;<br>✓ რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. |
| კომუნიკაცია | ✓ განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა;<br>✓ ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით;<br>✓ სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი;<br>✓ პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი. |
| ეთიკა | ✓ ეთიკური ნორმების დაცვა;<br>✓ სოლიდარობის განცდა;<br>✓ ემპათია;<br>✓ განსხვავებულობის მიმღებლობა;<br>✓ საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება. |
| მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა | ✓ სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა;<br>✓ ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით;<br>✓ მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად. |
| დროსა და სივრცეში ორიენტირება | ✓ თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება;<br>✓ მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით. |
| კვლევა | ✓ კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა;<br>✓ კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ორგანიზება;<br>✓ მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;<br>✓ კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა. |

| | |
|---|---|
| სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა | ✓ აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას;<br>✓ აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა;<br>✓ დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა;<br>✓ განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა;<br>✓ სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის;<br>✓ სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად;<br>✓ თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;<br>✓ სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა;<br>✓ შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება;<br>✓ ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება. |
| პასუხისმგებლობა | ✓ სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება;<br>✓ სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;<br>✓ საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება. |
| ისტ ტექნოლოგიების გამოყენება | ✓ ქსელური ძიება;<br>✓ ინფორმაციის გავრცელება;<br>✓ ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში. |
| წიგნიერება | ✓ ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი. |

გიმნაზიისათვის, ასევე, პრიორიტეტულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის,

კონფლიქტების მართვის, ფინანსური წიგნიერების, კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვა თემები.

გიმნაზიაში თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

გიმნაზიამ ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცლილებები, რომელიც ეხება ახალი COVID19 ეპიდემიის გავრცელების გამო, დისტანციური სწავლებისას სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის დადგენილი რეგულაციებისგან განსხვავებულ პირობებს მოსწავლეთა შეფასებისას (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანება №62/ნ - ვებგვერდი, 04.06.2020წ.), რომელშიც გათვალისწინებულია ასევე, მოზარდის სარეკომენდაციო დატვირთვის რეგულაციებისგან განსხვავებული პირობები.

გიმნაზია დისტანციურ სწავლებას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, წარმართავს *ჰიბრიდული* სწავლების მოდელით (დასწრებით სწავლებისა და ელექტრონული სწავლების რომელიმე ფორმის კომბინაცია), რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული *სინქრონული* (სინქრონული სწავლება - დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები) მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მყისიერად დასვან შეკითხვები ან უპასუხონ მათ.

ან/და *ასინქრონული* (ასინქრონული სწავლება - დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები) ერთდროულად ან სხვადასხვა დროს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე, იყენებენ ან ციფრულ რესურსებს, ან აუდიო და/ან ვიდეოფაილებს, ან ტელეეთერს) დასწრებითი სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რომელიც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით. ასევე, გამოიყენება ონლაინსაკომუნიკაციო სისტემა - სისტემა, რომელიც იძლევა დისტანციური თანამშრომლობისა და ონლაინ გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობას.

დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით ასე გამოიყურება:

| კლასი | I-III | IV-V | VI-VIII | IX | X-XII |
|---|---|---|---|---|---|
| მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში | 1 საათი | 1 საათი | 1.5 საათი | 1.5 საათი | 2 საათი |

2. ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა არის შემდეგი:

ა) I-IV კლასებში – 20 წუთი;

ბ) V-IX კლასებში – 30 წუთი;

გ) X-XII კლასებში – 40 წუთამდე.

3. რეკომენდებულია დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება.

4. დაგეგმილი გაკვეთილი შეიცავს სხვადასხვა ინტერაქტიულ ტექნიკას, მათ შორის, 10-15-წუთიან შესვენებას ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად ჩატარდება თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება და სხვა.

დისტანციური სწავლების შემთხვევაში, გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. გაკვეთილის გაცდენის მიზეზის დადგენაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი. რის შესახებაც აცნობებს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს, რომელიც მოქმედებს კანონმდებლობის დაცვით. დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეთა შეფასება მოხდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით, ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად.

გიმნაზია, კერძოდ აღმასრულებელი დირექტორი უზრუნველყოფს დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგს, დისტანციური გაკვეთილების დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით ჩატარებასა და დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვაზე ზედამხედველობას, დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვასა და მიზეზების კვლევას, ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

გიმნაზიის დირექცია და ადმინისტრაცია აქტიურად იქნება ჩართული დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვაში, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

სასკოლო საათობრივ ბადეში, საჭიროების შემთხვევაში, გიმნაზია გაითვალისწინებს რეგულაციებისგან განსხვავებულ პირობებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ისე, რომ დროებით საათობრივ ბადეში გათვალისწინებული იქნება სასწავლო წლის დასაწყისისთვის დამტკიცებული ყველა საგანი.

მოსწავლის მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

- ✓ უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს მოსწავლის ჩართულობას დისტანციურ სასწავლო პროცესში, ასევე დამოუკიდებლად სწავლის უნარის გამომუშავებაში;
- ✓ ითანამშრომლოს გიმნაზიასთან და დაეხმაროს მოსწავლეს გიმნაზიის მიერ დასახული სასწავლო მიზნების მიღწევაში;
- ✓ შეატყობინოს გიმნაზიას დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების შემთხვევაში და ითანამშრომლოს გიმნაზიასთან სირთულის დასაძლევად.

გიმნაზიის დისტანციური სწავლებაზე გადასვლის წინაპირობები, შეიძლება იყოს:

- ✓ გადამდები დაავადებით გამოწვეული მდგომარეობისას დადგენილი დროებითი შეზღუდვები;
- ✓ COVID 19 -ს ეპიდემია ან/და გამოწვეული გართულებები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად;
- ✓ ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვები;
- ✓ გადაუდებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების წარმოება;
- ✓ ცალკეულ საგანში/საგნებში ადამიანური რესურსის (მასწავლებლის) დეფიციტი.

გიმნაზია გაითვალისწინებს საქართველოს განათლების და სამინისტროს ბრძანებებსა და რეკომენდაციებს.

გიმნაზია, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, ასეთის არსებობისას, მოსწავლისათვის ადგენს საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ იმ სავალდებულო საგნის სტანდარტის შედეგების დაფარვას, რომელიც მას ჯერ არ ჰქონდა გავლილი სკოლაში, საიდანაც გადმოვიდა და/ან მიმღებ სკოლაში ამ საგნის სწავლება უკვე იყო დაწყებული, მაგრამ არ ჰქონდა დასრულებული. თუ მოსწავლეს სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული შეფასება საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, რომელიც დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად, ამასთან, მიმღები სკოლა აფასებს ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე.

მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. გიმნაზია აღნიშნულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის VII თავის 34-ე მუხლის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით.

განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება:

მიმდინარე საკლასო დავალება - V კლასის II სემესტრი და VI-XII კლასებში;

მიმდინარე საშინაო დავალება - VII-XII კლასები;

შემაჯამებელი დავალება - V კლასის II სემესტრი, VI-XII კლასები;

V კლასის II სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება;

I – VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება;

I – IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის II სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ. ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შექმნა, მონაცემთა ბაზის შექმნა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიის ანგარიშის მომზადება, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა) ამგვარ დავალებაში , შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგს შემიმუშავებს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

გიმნაზიამ გაითვალისწინა ეროვნული სასწავლო გეგმის რეკომენდაცია (თავი IX, მუხლი 45; პუნქტი მე-5) და დაწყებით საფეხურზე I – IV კლასებში სხვადასხვა საგანს ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის.

I კლასიდან სავალდებულოა უცხოური ენის - ინგლისურის სწავლება, მეორე უცხოურ ენა - რუსული ისწავლება V-XII კლასებში.

საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი და დამატებითი კვირეული და წლიური დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრებისა და საგნების მიხედვით. (საათობრივი ბადე ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას).

გიმნაზიის ადმინისტრაცია 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში კონკრეტული საგნების მიხედვით განსაზღვრავს შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების შესრულების და შეფასების ვადებს. გიმნაზია, მოსწავლეებს წინასწარ გააცნობს შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალება/დავალებების შესრულების ვადებს და კონსულტაციას გაუწევს მათ.

მოსწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალების შეფასება მასწავლებელმა უნდა მოახდინოს 2022 - 2023 სასწავლო წლის I სემესტრის სემესტრული ქულის დაწერამდე.

მოსწავლის 2022-2023 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება შემაჯამებელ ან/და კომპლექსურ დავალებაში მიღებული ქულისა და წლიური ქულის საშუალო არითმეტიკულით (დამრგვალებული მთელის სიზუსტით) მიღებული ქულა.

გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის (სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლესთან შეთანხმებული ფორმით) შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალება/დავალებების წინასწარ გაცნობას და კონსულტაციების საჭიროებისამებრ ჩატარებას;

- ✓ მობილობის გზით გადმოსულ მოსწავლეებს, რომელთაც არ ექნებათ I სემესტრის შეფასება ისეთ საგანში, რომელიც არ ისწავლება II სემესტრში, მიეცემა შემაჯამებელი ან/და კომპლექსური ტიპის დავალების შესრულების საშუალება, რის საფუძველზეც მიღებული განმსაზღვრელი შეფასება იქნება საგნის წლიური ქულა;
- ✓ ექსტერნატის ფორმით კლასის დაძლევისა და 2022-2023 სასწავლო წლის II სემესტრიდან მომდევნო კლასში ჩარიცხვის შემთხვევაში, ასევე ის მოსწავლეები, რომლებმაც შეჩერებული სტატუსი აღიდგინეს II სემესტრიდან და არ აქვთ I სემესტრის შეფასება, ყველა საგანში მიმდინარე დისტანციური სწავლების ფარგლებში ევალებათ შეასრულონ მინიმუმ ერთი შემაჯამებელი ან/და კომპლექსური ტიპის დავალება, რომლის განმსაზღვრელი შეფასება იქნება წლიური შეფასება;

- ✓ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ-მოსწავლემ ესგ-ით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც ვერ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით ან ინდივიდუალური გეგმით მიმდინარე დისტანციური ან/და პირისპირ სწავლების ფარგლებში. ინდივიდუალური გეგმის დაძლევა დადასტურდება ერთ შემაჯამებელი/კომპლექსური ტიპის დავალებაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასებით, რომელიც იქნება საგნის წლიური ქულა;
- ✓ პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიიღო ზოგადი განათლება და ვერ დაადასტურებს უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტს, წლიური ქულის გამოყვანის მიზნით:
  - უნდა აღუდგეს მოსწავლის სტატუსი;
  - 2022-2023 სასწავლო წლის ბოლომდე, დისტანციური ფორმით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გაიაროს ესგ-ით განსაზღვრული შესაბამისი კლასის საგნები (ექსტერნატის ფორმით/ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
  - გიმნაზია, ასეთ შემთხვევის დროს მოსწავლეს მისცემს ორ შემაჯამებელ ან/და კომპლექსურ დავალებას და შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეაფასებს მას. გიმნაზია მოსწავლეებს წინასწარ გააცნობს (ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსწავლესთან შეთანხმებული ფორმით) შემაჯამებელი კომპლექსური დავალებას/დავალებებს და ჩაუტარებს კონსულტაციებს საჭიროებისამებრ;

ასეთ შემთხვევაში მოსწავლის მიმდინარე სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება შემაჯამებელ ან/და კომპლექსურ დავალებებში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკული, რომელიც დამრგვალდება მთელის სიზუსტით.

საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში, კონკრეტული საგნისთვის 2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საგანში წლის განმავლობაში მიღებული მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე, ხოლო თუ მოსწავლეს არ უფიქსირდება საგანში მიმდინარე დავალებების ქულები, შეფასდება ერთი შემაჯამებელი ან/და კომპლექსური ტიპის დავალებაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასების საფუძველზე.

## თავი III

## მუხლი 3. სასწავლო წლის კალენდარი, დღის რეჟიმი - სწავლის დაწყება, დამთავრება, არდადეგები

### 3.1. სასწავლო წლის კალენდარი

2022-2023 სასწავლო წლის სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 სემესტრით, სასწავლო კვირა 5 დღიანია, საჭიროების შემთხვევაში დაშვებულია 6 დღიანი სწავლებაც (კერძოდ: საათობრივი ბადის განტვირთვისა ან/და საათების დანაკლისის შესავსებად, ასევე ფორსმაჟორის შემთხვევაში).

ობიექტური მიზეზების გამო, გიმნაზია უფლებამოსილია კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

2022-2023 სასწავლო წელი იწყება 2022 წლის 15 სექტემბერს, მთავრდება 2023 წლის 15 ივნისს.

I სემესტრი იწყება 2022 წლის 15 სექტემბერს, მთავრდება – 2022 წლის 29 დეკემბერს;

II სემესტრი იწყება 2023 წლის 15 იანვარს, მთავრდება 2023 წლის 15 ივნისს.

სასწავლო წელი I კლასელთათვის მთავრდება 2023 წლის 27 მაისს და XII კლასის მოსწავლეებისათვის 2023 წლის 15 მაისს.

სასწავლო წელი II – XI კლასებისათვის მთავრდება 2023 წლის 15 ივნისს, გამონაკლისი დაიშვება ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევაში.

სემესტრის დაწყება-დამთავრებისა და არდადეგების ხანგრძლივობის შესახებ თარიღის დადგენისას გიმნაზია ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციებსა და საქართველოში მოქმედ შრომის კოდექსს.

### 3.2. 2022-2023 სასწავლო წლის დაწყება-დამთავრების და არდადეგების ხანგრძლივობა

<table>
<tr><th colspan="5">2022-2023 სასწავლო წლის დაწყება</th><th colspan="3">2022-2023 სასწავლო წლის დამთავრება</th></tr>
<tr><th colspan="5">2022 წლის 15 სექტემბერი</th><th colspan="3">2023 წლის 15 ივნისი</th></tr>
<tr><th colspan="8">სასწავლო დღეები და არდადეგები</th></tr>
<tr><th rowspan="2">№</th><th rowspan="2">სემესტრი</th><th rowspan="2">სასწავლო დღეების რაოდენობა</th><th rowspan="2">კლასები</th><th rowspan="2">სულ სასწავლო დღეები</th><th colspan="2">არდადეგები</th><th rowspan="2">სასწ. შაბ. დღეები</th></tr>
<tr><th>დაწყება</th><th>დამთავრება</th></tr>
<tr><td>1</td><td>I</td><td>74</td><td>I და XII</td><td>74/74</td><td rowspan="2">29.12.2022</td><td rowspan="2">15.01.2023</td><td>საჭიროებისამებრ</td></tr>
<tr><td>2</td><td>II</td><td>79</td><td>I და XII</td><td>83/79</td><td></td></tr>
<tr><td colspan="8">II – XI კლასები</td></tr>
<tr><td>1</td><td>I</td><td>74</td><td>II – XI კლასები</td><td rowspan="2">171</td><td><u>აღდგომა</u> <u>14.04.2023</u></td><td>18.04.2023</td><td rowspan="2">საჭიროებისამებრ</td></tr>
<tr><td>2</td><td>II</td><td>97</td><td>II – XI კლასები</td><td><u>16.06.2023</u></td><td>სექტემბერი 14.09.2023</td></tr>
</table>

შენიშვნა: გიმნაზია სარგებლობს საქართველოს შრომის კოდექსით, გათვალისწინებული უქმე დღეებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის რეკომენდაციებით.

### 3.3. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები - მუხლი 20. უქმე დღეები

| უქმე დღეები | | |
|---|---|---|
| 1 | 1 და 2 იანვარი | ახალი წლის სადღესასწაულო დღეები; |
| 2 | 7 იანვარი | უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; |
| 3 | 19 იანვარი | ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე; |
| 4 | 3 მარტი | დედის დღე; |
| 5 | 8 მარტი | ქალთა საერთაშორისო დღე; |
| 6 | 9 აპრილი | საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონებისდღე; |
| 7 | სააღდგომო დღეები | დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორედღე. |

| | | |
|---|---|---|
| | | ორშაბათი (თარიღები გარდამავალია); ბრწყინვალე შვიდეული (ორშაბათი-კვირა) |
| 8 | 9 მაისი | ფაშიზმზე გამარჯვების დღე; |
| 9 | 12 მაისი | საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; |
| 10 | 26 მაისი | საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; |
| 11 | 28 აგვისტო | ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა); |
| 12 | 14 ოქტომბერი | მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე; |
| 13 | 23 ნოემბერი | გიორგობა. |

### 3.4. დღის რეჟიმი, გაკვეთილების ხანგრძლივობა, დასვენება

გიმნაზიაში მოსწავლის გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია კლასების მიხედვით, მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, კერძოდ:

| კლასი | I | II-III | IV-V | VI-VIII | IX | X-XII |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში | 3 | 4 | 4 | 5 | 5-6 | 5-6 |

გაკვეთილების დამთავრებისა და დასვენების ხანგრძლივობა წარმოდგენილია დღის რეჟიმის სახით, ცხრილის ფორმატში. შედგენილია ასევე, დისტანციური სწავლებისას გაკვეთილების ხანგრძლივობის გრაფიკი.

3.5. დღის რეჟიმი

გაკვეთილების დაწყება–დამთავრებისა და დასვენების ხანგრძლივობა

2022–2023 სასწავლო წელი

I კლასი

პირისპირ სწავლების დროს

გაკვეთილების ხანგრძლივობა – 35 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა – 10 წუთი

გაკვეთილის დაწყება 09:00

| № | გაკვეთილების | | დასვენების | |
|---|---|---|---|---|
| | დაწყება | დამთავრება | დაწყება | დამთავრება |
| 1 | 9:00 | 9:35 | 9:35 | 9:45 |
| 2 | 9:45 | 10:20 | 10:20 | 10:30 |
| 3 | 10:30 | 11:05 | 11:05 | 11:20 |
| 4 | 11:20 | 11:55 | 11:55 | 12:05 |
| 5 | 12:05 | 12:40 | 12:40 | 12:50 |

I_IV კლასების

დისტანციური სწავლებისას

გაკვეთილების ხანგრძლივობა – 20 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა – 10 წუთი

გაკვეთილის დაწყების დრო 10:00

| № | გაკვეთილების | დასვენების |
|---|---|---|

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

| | დაწყება | დამთავრება | დაწყება | დამთავრება |
|---|---|---|---|---|
| 1 | 10:00 | 10:20 | 10:20 | 10:30 |
| 2 | 10:30 | 11:50 | 11:50 | 12:00 |
| 3 | 12:00 | 12:20 | 12:20 | 12:30 |
| 4 | 12:30 | 12:50 | 12:50 | 13:00 |
| 5 | 13:00 | 13:20 | 13:20 | 13:50 |

II – XII კლასი
პირისპირ სწავლების დროს
გაკვეთილების ხანგრძლივობა - 45 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა – 5 წუთი
გაკვეთილების დაწყება - 9:00

| № | გაკვეთილების | | დასვენების | |
|---|---|---|---|---|
| | დაწყება | დამთავრება | დაწყება | დამთავრება |
| 1 | 9:00 | 9:45 | 9:45 | 9:50 |
| 2 | 9:50 | 10:35 | 10:35 | 10:40 |
| 3 | 10:40 | 11:25 | 11:25 | 11:40 |
| 4 | 11:40 | 12:25 | 12:25 | 12:30 |
| 5 | 12:30 | 13:15 | 13:15 | 13:20 |
| 6 | 13:20 | 14:05 | 14:05 | 14:10 |
| 7 | 14:10 | 14:55 | 14:55 | 15:00 |

II – XII კლასი
დისტანციური სწავლებისას
გაკვეთილების ხანგრძლივობა - 25 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა – 5 წუთი
გაკვეთილების დაწყება - 10:00

| № | გაკვეთილების | | დასვენების | |
|---|---|---|---|---|
| | დაწყება | დამთავრება | დაწყება | დამთავრება |
| 1 | 10:00 | 10:25 | 10:30 | 10:40 |
| 2 | 10:30 | 11:55 | 11:10 | 11:20 |
| 3 | 12:00 | 11:50 | 11:50 | 12:00 |
| 4 | 12:00 | 12:30 | 12:30 | 12:40 |
| 5 | 12:40 | 13:10 | 13:10 | 13:20 |
| 6 | 13:20 | 13:50 | 13:50 | 14:00 |
| 7 | 14:00 | 14:30 | 14:30 | 14:40 |
| 8 | 14:40 | 15:10 | 15:10 | 15:40 |

შენიშვნა: დიდი დასვენება იწყება მე-3 გაკვეთილის შემდეგ და მისი ხანგრძლივობა დიდი დასვენება განისაზღვრება 15 წუთით.

თავი IV

მუხლი 4. საათობრივი ბადე, საგანმანათლებლო მომსახურება

სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი და აუცილებელი შემადგენელია საათობრივი ბადე, რომელიც მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი რომელი მასწავლებლის მიერ ისწავლება. მასში აღნიშნულია, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნები. საათობრივი ბადე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე - სამასწავლებლოში.

### 4.1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურება 2022-2023 სასწავლო წელი I – XII კლასები

| № | საგანი | I | II | III | IV | I-IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | სულ I-XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სახელმწიფო ენა** | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 7 | 7 | 6 | 6 | 26 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 66 |
| | **მათემატიკა** | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | მათემატიკა | 4/5 | 5 | 5 | 5 | 19/20 | 5 | 4 | 4 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 57/58 |
| | **უცხოური ენები** | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | I უცხოური ენა-ინგლისური | 0/1 | 2 | 3 | 3 | 8/9 | 3 | 3 | 3 | 3/2 | 2 | 2 | 2 | 2 | 28/28 |
| 4 | II უცხოური ენა-რუსული | - | - | - | - | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 16 |
| | **საზოგადოებრივი მეცნიერებები** | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ჩვენი საქართველო | - | - | - | - | - | 2 | 3 | - | - | - | - | - | - | 5 |
| 6 | ისტორია | - | - | - | - | - | - | - | 2 | 2/3 | 3 | 2 | 3 | 2 | 14/15 |
| 7 | საქართველოს ისტორია | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | - | - | 2 |
| 8 | გეოგრაფია | - | - | - | - | - | - | - | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | - | 10 |
| 9 | სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა) | - | - | - | - | - | - | - | 2- | 1- | 2 | 3 | - | - | 8 |
| 10 | მე და საზოგადოება | - | - | 2 | 2 | 4 | - | - | - | - | - | - | - | - | 4 |
| | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | 3 | 3 | - | - | - | - | - | - | 14 |
| 12 | ფიზიკა | - | - | - | - | - | - | - | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | - | 10 |
| 13 | ქიმია | - | - | - | - | - | - | - | | 2 | 2 | 2 | 3 | - | 9 |
| 14 | ბიოლოგია | - | - | - | - | - | - | - | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | - | 10 |
| | **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | ისტ/კომპიუტერული ტექნოლოგიები | 1/0 | 1 | 1 | 1 | 4/3 | 2 | 2 | - | - | | - | - | - | 8/7 |
| | **ესთეტიკური აღზრდა** | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | 2 | 2 | 2 | 2/1 | 1/2 | - | - | - | 17/17 |
| 17 | მუსიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | 2 | 2 | 2 | 1/2 | 2/1 | - | - | - | 17/17 |
| 18 | პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში | | | | | | | | | | | 1 | | | 1 |
| 19 | ფიზიკური აღზრდა/სპორტი | 3 | 3 | 3 | 3 | 12 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2/1 | 2 | 28/27 |
| 20 | სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 1/0 | 1/0 |
| 21 | საგზაო ნიშ. და მოძრ. უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 1/2 | - | 1/2 |
| | **არჩევითი საგნები** | | | | | | | | | | | | | | |
| 22 | მსოფლიო კულტურა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | - | - | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | თანამედროვე ფიზიკის შესავალი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | - | 2 |
| 24 | ფოლკლორული ანსამბლი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 2/0 | 2/0 |
| | სულ საათების რაოდენობა | 21/ 22 | 24 | 26 | 26 | 97/98 | 28 | 28 | 31 | 31 | 32 | 3 4 | 31 | 21/ 18 | 332/3 31 |

**შენიშვნა:** საშუალო საფეხურზე სთავაზობს არჩევით საგნებს და მათ საშუალება ეძლევათ საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიონ და ისწავლონ სხვადასხვა საგანი. არჩევითი საგნები ფასდება განმავითარებელი შეფასებით.

**შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით - 2022-2023 სასწავლო წელი** - (შედგენილია 2018-2024 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით).

| № | საგანი | V | | VI | | VII | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | I | II | I | II | |
| | სახელმწიფო ენა | | | | | | | |
| 1 | ქართულიენადალიტერატურა | 0 | 5 | 3 | 5 | 4 | 5 | 22 |
| | მათემატიკა | | | | | | | |
| 2 | მათემატიკა | 0 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 26 |
| | უცხოური ენები | | | | | | | |
| 3 | I უცხოური ენა-ინგლისური | 0 | 4 | 4 | 4 | 2 | 3 | 17 |
| 4 | II უცხოური ენა-რუსული | 0 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 13 |
| | საზოგადოებრივი მეცნიერებები | | | | | | | |
| 5 | ჩვენისაქართველო | 0 | 3 | 2 | 3 | - | - | 8 |
| 6 | ისტორია | - | - | - | - | 2 | 3 | 5 |
| 7 | გეოგრაფია | - | - | - | - | 2 | 3 | 5 |
| 8 | სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა) | - | - | - | - | 2 | 3 | 5 |
| 9 | მე და საზოგადოება | - | - | - | - | - | - | |
| 10 | სამოქალაქო განათლება | - | - | - | - | 2 | 3 | 5 |
| 11 | სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - |
| 12 | საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - |
| | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | | | | | | | |
| 13 | ბუნებისმეტყველება | 0 | 4 | 3 | 4 | - | - | 11 |
| 14 | ფიზიკა | - | - | - | - | 1 | 2 | 3 |
| 15 | ბიოლოგია | - | - | - | - | 2 | 3 | 5 |
| | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | | | | | | | |
| 16 | ისტ | 0 | 3 | 2 | 3 | - | - | 8 |
| | ესთეტიკური აღზრდა | | | | | | | |
| 17 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 0 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 13 |
| 18 | მუსიკა | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 10 |
| 19 | ფიზიკური აღზრდა/სპორტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არჩევითი საგნები | | | | | | | | |
| 20 | მსოფლიო კულტურა | - | - | - | - | - | - | - |
| 21 | თანამედროვე ფიზიკის შესავალი | - | - | - | - | - | - | - |
| 22 | ფოლკლორული ანსამბლი | - | - | - | - | - | - | - |
| | სულ საათების რაოდენობა | 0 | 33 | 24 | 33 | 27 | 39 | 156 |

შენიშვნა: გიმნაზია მოსწავლეს აღუდგენს გაცდენილი შემაჯამებელ დავალებას მოთხოვნის შემთხვევაში. **აღდგენის ვადაა 10 დღე**, ტესტის განსხვავებული ვარიანტით.

შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით - 2022-2023 ს/წ

| № | საგანი | VIII | | IX | | X | | XI | | XII | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | I | II | I | II | I | II | I | II | |
| საქელმწიფო ენა | | | | | | | | | | | | |
| 1 | ქართულიენა და ლიტერატურა | 4 | 5 | 4 | 5 | 4 | 5 | 4 | 5 | 3 | 4 | 43 |
| მათემატიკა | | | | | | | | | | | | |
| 2 | მათემატიკა | 4 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 4 | 4 | 48 |
| უცხოური ენები | | | | | | | | | | | | |
| 3 | I უცხოური ენა-ინგლისური | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 | 25 |
| 4 | II უცხოური ენა-რუსული | 2 | 3 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 2 | 22 |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | | | | | | | | | | | | |
| 5 | ჩვენისაქართველო | - | - | - | - | - | - | - | - | - | | |
| 6 | ისტორია | 2 | 3 | 3 | 4 | 2 | 3 | 2 | 3 | 1 | 1 | 24 |
| 7 | გეოგრაფია | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | - | - | 20 |
| 8 | სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა) | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 3 | - | - | | - | 12 |
| 9 | მე და საზოგადოება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 10 | სამოქალაქო განათლება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 11 | სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | - | 1 | - | 1 |
| 12 | საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | | | | | | | | | | | | |
| 13 | ბუნებისმეტყველება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 14 | ფიზიკა | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | - | - | 20 |
| 15 | ქიმია | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | - | - | 20 |
| 16 | ბიოლოგია | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | - | - | 20 |
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | | | | | | | | | | | | |
| 17 | ისტ/კომპიუტერული ტექნოლოგიები | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ესთეტიკური აღზრდა | | | | | | | | | | | | |
| 18 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | - | - | 9 |
| 19 | მუსიკა | 2 | 3 | 2 | 2 | - | - | - | - | - | - | 9 |
| 20 | ფიზიკური აღზრდა/სპორტი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არჩევითი საგნები | | | | | | | | | | | |
| 21 | მსოფლიო კულტურა | - | - | - | - | | | - | - | - | - | - |
| 22 | თანამედროვე ფიზიკის შესავალი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| 23 | ფოლკლორული ანსამბლი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| | სულ საათების რაოდენობა | 27 | 38 | 28 | 40 | 24 | 35 | 22 | 32 | 14 | 13 | 273 |

შენიშვნა: მოსწავლისათვის გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხდება მოთხოვნის შემთხვევაში. აღდგენის ვადაა 10 დღე, განსხვავებული ვარიანტით.

### 4.2. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საგნობრივი/წრეობრივი მომსახურება

გიმნაზია, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლისა და მშობლის ინტერესების გათვალისწინებით, ძირითადი საგნების გარდა, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. გიმნაზია თვლის, რომ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ნიჭისა და შესაძლებლობის გამოვლენაში, მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა შეაფასონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები.

ნებაყოფლობითი ფაკულტატურია სარწმუნოება, არასავალდებულო, რომელშიც შეფასება არ იწერება. დასწრების შესაძლებლობა აქვს გიმნაზიის ყველა - I – XII კლასების მოსწავლეს სურვილის მიხედვით, შეფასება ხდება ჩათვლის პრინციპით, ხოლო ქიმია VII კლასში არის სავალდებულო ფაკულტატური, გამოიყენება განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასება, მაგრამ მიღებული ქულა არ ახდენს გავლენას საერთო წლიურ ნიშანზე.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისას, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება სასწავლო რესურსი/თვალსაჩინოებები.

### 4.3. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნის/საგნების დამატებითი (არასავალდებულო) საგანმანათლებლო მომსახურება

2022-2023 სასწავლო წელი

| № | საგანი | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სარწმუნოება | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 2 | ქიმია | - | - | - | - | - | - | 1 | - | - | - | - | - |

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების სახით გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს:

1. სარწმუნოებას I-XII კლასებში ორ-ორ საათს;
2. ქიმიას VII კლასში 1 საათი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ. სავალდებულო ფაკულტატურის სახით, მოსწავლე ფასდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით, მიღებული ქულა არ აისახება წლიურ ქულაზე.

### 5.4. ინკლუზიური განათლება

გიმნაზიაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის/ების განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით, გადაადგილებისათვის მოწყობილია შესასვლელი – პანდუსი, საშეცადინო და დასასვენებელი ოთახი. განათლების მისაღებად შექმნილია შესაბამისი ადაპტირებული გარემო ასეთის საჭიროების შემთხვევაში.
ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების მართვის დებულება, რომელიც ერთვის სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციას.
გიმნაზია, სასწავლო წლის დაწყებიდან, ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვრავს იმ მოსწავლის ან მოსწავლეთა სიას, რომელთათვისაც საჭირო იქნება მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით სწავლება. სსსმ მოსწავლის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში გიმნაზია შექმნის სამუშაო ჯგუფს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. გუნდში ერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, ან/და გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადების ტრენინგები, დამრიგებელი, აგრეთვე: მშობელი/მეურვე, ექიმი და სხვა დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს ზედამხედველობს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. გიმნაზია ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსსმ მულტიდისციპლინურ სამსახურთან და საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს.
მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) მოეწყობა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს. ყოველი სემესტრის ბოლოს მოეწყობა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა, ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და შენახულ იქნება მოსწავლის პირად საქმეში.

## თავი V

## მუხლი 5. მოსწავლეთა განვითარების შესაძლებლობები

### 5.1. განვითარების თანაბარი შესაძლებლობები

გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეებს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით, ხელს უწყობს მათ ახალი ცოდნის სიღრმისეულად გააზრება-განმტკიცებაში, ინფორმაციის განაზოგადებაში, მონაცემთა კლასიფიკაციის, დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების განვითარებაში და ისეთი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებაში, როგორიცაა - თანამშრომლობა, კომუნიკაცია, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. გიმნაზია სასწავლო პროცესში გამოიყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და აქტივობებს, რაც ნათლად და დეტალურადა ასახული საგნის/საგნების თემატურ-კალენდარულ გეგმებში.
გიმნაზია სასწავლო მასალის მოსწავლეებისათვის სიღრმისეულ სწავლებას უზრუნველყოფს ეტაპობრივად, მრავალმხრივად, საგანთაშორის კავშირების გამოვლენისა და საერთო ასპექტების დამუშავების გზით, რაც გათვალისწინებულია გიმნაზიის ერთწლიანი განვითარებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმებში, ასევე, საგნის/საგნობრივი ჯგუფების კათედრების სამუშაო და თემატურ-კალენდარულ გეგმებში. სასწავლო თემატიკა დაყოფილია შინაარსობრივი და თემატური ასპექტების გათვალისწინებით.
სასწავლო მასალის მრავალფეროვნად და მრავალმხრივად საგანთაშორისი კავშირებით მიწოდება უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო-საალმზრდელო-შემეცნებით პროცესს.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ჩვენი გიმნაზიის პრიორიტეტია. გიმნაზია ხელს უწყობს მასწავლებლებს სხვადასხვა სიახლეებისა და მეთოდების დანერგვაში. გიმნაზიას აქვს 7 ჭკვიანი დაფა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სწავლება-სწავლის პროცესში. გიმნაზიაში საგანმანათლებლო მომსახურება მუდმივად განვითარების რეჟიმშია და სწავლა/განათლება სიცოცხლის ბოლომდე, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, თვითორგანიზებული სწავლების გარემო, უფრო საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.

ჭკვიანი დაფების გამოყენებით იზრდება პედაგოგის და მოსწავლის მოტივაცია და რაც მეტად მნიშვნელოვანია, იქმნება პროდუქტი, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისა და კოლეგებისთვის სხვადასხვა თემების განხილვისას.

### 5.2. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა

გიმნაზია, მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, მუდმივად ზრუნავს მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების დანერგვისათვის.

გიმნაზია ცდილობს მოსწავლეს ასწავლოს მთავარი - მომავალში დამოუკიდებელი, წარმატებული ცხოვრება, ასწავლოს აზროვნება და ცოდნის დამოუკიდებლად მიღება, პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა რესურსების გამოყენება - მაგალითად ინტერნეტი, ჭკვიანი დაფა, ცნობარი, კალკულატორი.

თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. გიმნაზიაში სწავლა-სწავლების პრიორიტეტია მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი და აქტიური სწავლების (კვლევაზე და პროექტზე ორიენტირებული) მეთოდების გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პოპულარიზაციას, ადამიანის უფლებების სწავლებას და გააზრებას, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლებას, მოქალაქეობის, ასევე, სამეწარმეო და საბაზისო შრომითი უნარების განვითარებას.

გიმნაზია მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის, დანერგავს წარმატებულ მოსწავლეთა (ასევე მასწავლებელთა) წახალისებისათვის სხვადასხვა სახის ფორმებს, კერძოდ:

- ✓ ეროვნულ ოლიმპიადაზე, ტურების მიხედვით, წახალისების მიზნით, დაწესებულია ფულადი ჯილდო როგორც მოსწავლისათვის, ისე მასწავლებლისათვის;
- ✓ სასკოლო საზოგადოების შეკრების ადგილზე მადლობის გამოცხადება, დიპლომებისა და სიგელების გადაცემა;
- ✓ წარმატებული მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფისათვის, კლასისათვის სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიის დაფინანსება;
- ✓ თეატრალურ სპექტაკლებზე დასწრების დაფინანსება;
- ✓ შემოდგომის ფესტივალზე საუკეთესოდ წარმოდგენილი აქტივობებისათვის კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებზე განხორციელებული აქტივობებისათვის მოსწავლეთა, მასწავლებელთა, კლასის დამრიგებელთა წახალისება და სხვა სტრატეგიების გამოყენება.

გიმნაზია ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდას და დაეხმარება მომავალი პროფესიის არჩევაში. ამ მიზნით IX და XI კლასებში წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით, ჩატარდება სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობები, მათ

შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები.

## თავი VI

### მუხლი 6. გიმნაზიის საერთო კულტურა, აქტივობები

გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობა ორიენტირებულია გიმნაზიის საერთო კულტურის ამაღლებაზე. გიმნაზია, მოსწავლეების მასწავლებლების, მშობლების ჩართულობითა და ხელშეწყობით უზრუნველყოფს ხარისხიანად საგნის/საგნების სწავლა-სწავლებას, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით) განხორციელებას. კერძოდ: საგნის/საგნების სწავლა-სწავლების ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდის მიზანს ემსახურება სასკოლო ტურები, სასკოლო ოლიმპიადები, კლასიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, შეხვედრები რაიონის ცნობილ ადამიანებთან, ლიტერატურული ღონისძიებები, ლექცია-საუბრები, გიმნაზიის შიდა საგრანტო პროექტები. გიმნაზია აქტიურადაა ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა უწყებების მიერ ინიცირებულ სპორტულ ღონისძიებებში, შეჯიბრებებში, მხიარულ სტარტებში.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების, მრავალმხრივი განვითარების, საინტერესო სასკოლო ცხოვრების ორგანიზების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას. „თავისუფალი გაკვეთილების" ფარგლებში მოსწავლეები ჩართულნი იქნებიან სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში.
გიმნაზია ხელს შეუწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა.
გიმნაზიაში სასკოლო საზოგადოებისათვის შექმნილია შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო - ერთობლივი ძალებით იმართება კლასგარეშე ღონისძიება - შემოდგომის ფესტივალი, შემოდგომის ზეიმი.

გიმნაზიისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება და სამოქალაქო ჩართულობა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის თემატურ-კალენდარულ გეგმაში.
ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ემსახურება გიმნაზიაში განხორციელებული და განსახორციელებელი სასწავლო და შემეცნებითი ექსკურსიები. მოსწავლეები, თემატურად, საგნების გათვალისწინებით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იმოგზაურობენ და გაეცნობიან კულტურასა და ტრადიციებს, ამათუიმ კუთხეებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ასპექტებს.

გიმნაზიაში ყოველწლიურად მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას, სულიერ აღზრდასა და სამედიცინო მომსახურებას, პრევენციული აქტივობების განხორციელებას. გიმნაზიაში შემუშავებულია მიმდინარე პრევენციული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას ემსახურება **12** ვიდეო სამეთვალყურეო კამერა, გიმნაზიას ჰყავს 3 დარაჯი.
გიმნაზია უზრუნველყოფს სპეციალისტებთან თანამშრომლობით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, მოსწავლეებს პერიოდულად ჩაუტარდეთ სიმულაციურ გაკვეთილები,

გაეცნონ სკოლის უსაფრთხოების დაცვის წესსა და პირობებს, სადაც ყურადღება გამახვილდება უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებზე. განხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები.

**6.1. უსაფრთხოების დაცვის წესებისა და პირობების გაცნობის მიზნით განსახორციელებელი ხვადასხვა ტიპის აქტივობები**

დანართი

საგანგებო სიტუაციები

აქტივობა 1

წვილებს დავალებად მიეცემათ სხვადასხვა საგანგებო სიტუაციები:

ადამიანი ზღვაში იხრჩობა;

სახლი იწვის ან/და ავტოკატასტროფის შედეგად დაშავებული აღარ სუნთქავს;

თუ ვინმე დაკბინა უხსენებელმა ან/და ზავშემა ღილი ან ქინძისთავი გადაყლაპა;

განვიხილავთ მოსწავლეებთან ერთად რჩევებს, რეკომენდაციებს, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციებში მივიჩნევთ სასარგებლოდ. ამ სიტუაციაში ვინ როგორ მოიქცეოდა, ვასაუბრებთ წვილებში.

აქტივობა 2

მოსწავლეები პატარა ჯგუფები მუშაობენ პრობლემაზე, როგორ დაეხმარონ ადამიანებს, კონკრეტულ სიტუაციებში, გადაჭრან ცხოვრებისეული პრობლემები, აყალიბებენ საუკეთესო რჩევას.

ჯგუფებს ეძლევათ დავალება:

პირველი ჯგუფი - და და ძმასთან პრობლემა გაქვს;

მეორე ჯგუფი - ძმას დასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს;

მესამე ჯგუფი - მშობლები მოზარდ შვილებთან საერთოს ვერ პოულობენ.

ჯგუფები საუბრობენ, შეიძლება გაითამაშონ სცენაც, თუ როგორ ხედავენ მოცემულ პრობლემას და გადაჭრის რა ხერხს მიმართავენ.

ამ დავალების შესრულებისას შევახსენეთ მოსწავლეებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ჯგუფებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ რჩევის მიცემისას. ამ დავალებას შეიძლება წერითი სახეც მიეცეს.

- ჯგუფი, დაწერს თავისი პრობლემის შესახებ, გადააწვდის მეორე ჯგუფს ე. წ. „მრჩეველს", რომელიც წერს პრობლემის გადაჭრის მისეულ ვარიანტს/რჩევას. შემდეგ აწვდის სხვა ჯგუფს და ა.შ. კლასში არსებული ყველა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას. ეს გრძელდება მანამ, სანამ წერილი ადრესატს არ დაუბრუნდება.
- ჯგუფი იღებს ყველა რეკომენდაციებს, გამოხატავს თავის აზრს თითოეულ მათგანზე, განიხილავს რამდენად მისაღებია თითოეული რჩევა და ირჩევს ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც მოცემულ სიტუაციაში საუკეთესოა პრობლემის გადასაჭრელად.

**შენიშვნა:** შეიძლება აქტივობებს მიეცეს როლური თამაშების სახე.

დეპრესია

ალკოჰოლიზმი უმუშევრობა

ნარკოტიკები

მუდმივი საყვედურები

ფეხმძიმობა

ღალატი

მესაკუთრეობა

თამაში - „მიმჳელეთ"

აქტივობა 1

ეს თამაში შეგვიძლიათ გამოვიყენოთ გაკვეთილის გახურების ფაზაში თემასთან - რჩევა „შენ ადგილას, რომ ვიყო". ამ შემთხვევაში მასწავლებელია წამყვანი, იგი პრობლემებს ასახელებს და ბავშვებისგან რჩევებს იღებს.

აქტივობა 2

დაწერეთ დიალოგი ექიმსა და იმ პაციენტს შორის, რომელიც საავადმყოფოს ტოვებს. ექიმი პაციენტს რჩევებს აძლევს, როგორ განაგრძოს მკურნალობა გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოვიყენოთ შემდეგი სიტყვები: საწოლი, ტელევიზორი, საჭმელი, სამუშაო, წამალი, ალკოჰოლი, ვარჯიში.

აქტივობა 3

წარსულის შეცდომები

მოსწავლეებს ვაძლევთ წინადადებებს, რომლებიც წარსულიდან ცუდ მოვლენებს ასახავს. მოსწავლეებმა ის ხუთი მიზეზი უნდა დაასახელონ, რომლებმაც ეს შეცდომა გამოიწვია და რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ, შეცდომის თავიდან აეცილებინათ.

შესათავაზებელი სიტუაციები

ა)

- სათვალეს ვერ ვპოულობ;
- ჩემი დისშვილი ძალიან მორცხვია;
- ჩემი ბაღი სარეველა ბალახებითაა სავსე;
- სლოკინს ვერ ვიკავებ;
- ძმასთან სულ ვკამათობ;
- დედა სულ მსაყვედურობს;
- ჩემს მეგობრებს იშვიათად ვნახულობ;
- მობილურზე ანგარიში ხშირად მითავდება.

ბ)

- ✓ დავითს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს;
- ✓ შარმანდელი ზაფხულის არდადაგები იყო სრული კატასტროფა;
- ✓ სამწუხაროდ, ქორწინებიდან ერთ კვირაში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ;
- ✓ ნიკოლოზი სამსახურიდან დაითხოვეს;
- ✓ სამსახურიდან წამოსვლა მას ნერვიული გამოფიტვის გამო მოუხდა.

პროექტი:

ჯგუფებს მიეცემათ დავალება, მოიძიონ გასაღები და განიხილონ ისეთი არასასურველი მოვლენები, როგორიცაა - „ტიტანიკი", „მეორე მსოფლიო ომი", „11 სექტემბრის ტერაქტი, ნიუ-იორკში", „წყალდიდობა იაპონიაში", „საქართველოსა და რუსეთს შორის გამართული 2008 წლის ომი") და ისაუბრონ, შეიძლებოდა თუ არა მათი თავიდან აცილება.

გიმნაზიაა, მდებარეობის გათვალისწინებით, კერძოდ, ყოველ სასწავლო წელს ატარებს და მიმდინარე სასწავლო წელსაც ჩატარდება თავისუფალი გაკვეთილები „ მე და გარემო", რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იქნებიან ჩართული მასწავლებლები, მშობლები. მათი ძალებით მოხდება მდინარე ჩხერიმელას მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, აქტივობა „ჩვენ არ გამოვიყენებთ პოლიეთილენის პარკებს" მიმართულია გარემოსდაცვით განათლებისათვის.

აღნიშნული საკითხის შესახებ გეგმა ვრცლად წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმაში.

## თავი VII

### მუხლი 7. საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრები, სადამრიგებლო პროგრამა, გახანგრძლივებული ჯგუფები

#### 7.1. საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრა

გიმნაზიაში ფუნქციონირებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის **შვიდი კათედრა**. თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა როტაციის წესით სამი წლის ვადით, არჩეული კათედრის თავმჯდომარეებს ბრძანებით ამტკიცებს რექტორი, კათედრის თავმჯდომარის ვადის განსაზღვრისას დაიშვება გამონაკლისი.

*საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრები და კათედრის თავმჯდომარეები*

კათედრის თითოეული წევრი, საგნის მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს სასწავლო გეგმები, რომელსაც თან ერთვის მათ მიერ კლასში ჩასატარებელი **შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალებების** განრიგი და ჩატარებული/ჩასატარებელი შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალებების დოკუმენტაცია (შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების ნომერი, ანალიზის ფორმატი, დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალება, შეფასების კრიტერიუმები), რომელსაც ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრის დებულება სრულად ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას და წარმოდგენილია გიმნაზიის რეგულაციებში.

## თავი VIII

### მუხლი 8. კათედრის დებულება

კათედრის დებულება სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია და თან ერთვის მას.

#### 8.1. მიმართულებები, ფუნქციები, მუშაობის პრინციპები

დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრების რაოდენობას, კათედრების მუშაობის ძირითად მიმართულებებს, კათედრების თავმჯდომარეების არჩევის წესსა და მათ უფლება-მოვალეობებს.

თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა როტაციის წესით სამი წლის ვადით, რომელიც წარედგინება პედსაბჭოს და პედსაბჭოს დადგენილების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს რექტორი, შესაძლოა დაიშვას გამონაკლისი კათედრის თავმჯდომარის ვადის განსაზღვრისას.

8.2. საგნობრივი კათედრების მუშაობის მიმართულებებია

- ✓ საგნის/საგნობრივი ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია;
- ✓ გამოცდილების გაზიარება;
- ✓ სახელმძღვანელოების და სასწავლო რესურსების შერჩევა;
- ✓ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ✓ პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები;
- ✓ თანამედროვე მიდგომების დანერგვა.

8.3. გიმნაზიაში ფუნქციონირებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის შვიდი კათედრა, კერძოდ:

- ✓ **ქართული ენისა და ლიტერატურის** - ქართული ენა და ლიტერატურა;
- ✓ **მათემატიკის** - მათემატიკა, ინფორმატიკა;
- ✓ **უცხოური ენების - I** უცხოური ენა - ინგლისური, II უცხოური ენა - რუსული;
- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებების** - ჩემი საქართველო, ისტორია, მე და საზოგადოება, სალვთო სჯული, სამოქალაქო განათლება, მოქალაქეობა, გეოგრაფია, არჩევითი საგნები - მსოფლიო კულტურა;
- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** - (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, თანამედროვე ფიზიკის შესავალი);
- ✓ **ესთეტიკური აღზრდის** - სპორტი/ფიზიკური აღზრდა, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ფოლკლორული ანსამბლი;
- ✓ **დაწყებითი კლასების** - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება.

8.4. კათედრის თავმჯდომარე

თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა როტაციის წესით სამი წლის ვადით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს რექტორი, შესაძლოა დაიშვას გამონაკლისი კათედრის თავმჯომარის ვადის განსაზღვრისას.

8.5.კათედრის მუშაობის ძირითადი პრინციპები

- ✓ კათედრის სხდომები სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ სამჯერ. კათედრის პირველ სხდომაზე აირჩევა კათედრის თავმჯდომარე და მდივანი. კათედრები, განიხილავენ, საგნობრივი პროგრამების შესაბამისად, სასწავლო რესურსებს, შეფასების რუბრიკებს, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობებს და სხვ;
- ✓ ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე ხდება საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების მიმდინარეობის განხილვა და გამოვლენილი პრობლემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეფასება;
- ✓ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება და კრიტერიუმები, თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები;

- ✓ მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა;
- ✓ წარმოდგენილი შემაჯამებელი და კომპლექსური წერების ანალიზზე დართული მასწავლებლის კომენტარი, რომელშიც აღნიშნულია მოსწავლის პროგრესი და რეგრესი კონკრეტულ საგანში, განსაზღვრულია პრობლემა და მითითებულია პრობლემის გადაჭრის გზები.

8.6. კათედრის თავმჯდომარის პროფესიული ვალდებულებები:

ა)იცოდეს სახელმწიფოს პოლიტიკა განათლების მიმართულებით;

ბ)შეადგინოს კათედრის მუშაობის სამოქმედო გეგმა, უზრუნველყოს კათედრის სხდომების დაგეგმვა;

გ)იცნობდეს ეროვნული სასწავლო გეგმას, ზოგადი განათლების მიზნებს და სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს;

დ)სასწავლო წლის დაწყებამდე, არაუგვიანეს 10 დღისა, ჩაატაროს კათედრის სხდომა და უზრუნველყოს კათედრის თავმჯდომარის არჩევის ორგანიზება;

ე)უზუნველყოს კათედრის სხდომის ჩატარება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ;

ვ)შეეძლოს საკუთარ პროფესიული როლის გაცნობიერება სწავლება-სწავლის ხარისხის განვითარებისათვის და სამუშაო პროცესის მიზნობრივად დაგეგმვა, გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის, კათედრის წევრებისათვის, დაეხმაროს კათედრის წევრებს თემატური გეგმების შედგენაში;

ზ)იცნობდეს სასკოლო სასწავლო გარემოს, მატერიალურ რესურსებსა და დოკუმენტაციას (შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა);

თ) იზრუნოს გიმნაზიის სასკოლო კულტურის განვითარებაზე, სტრატეგიული გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზე;

ი)კათედრის თავმჯდომარე ვალდებულია კოორდინაცია გაუწიოს საგნის/საგნობრივი ჯგუფების კათედრის/კათედრების მუშაობას;

კ) შეეძლოს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება;

ლ)კათედრის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოახდინოს კათედრის სხდომის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ვარირება;

მ)კათედრის წევრებთან ურთიერთთანამშრომლობით უზრუნველყოს შეფასების სისტემის კრიტერიუმების შემუშავების ორგანიზება კომპონენტების მიხედვით;

ნ)დაეხმაროს კათედრის წევრებს გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევაში.

**8.7. საგნობრივი კათედრის წევრის ფუნქციები, უფლებები, ვალდებულებები**

**8.7.1.კათედრის წევრს უფლება აქვს:**

ა) არჩეულ იქნას კათედრის თავმჯდომარედ;

ბ) გაეცნოს კათედრის სხდომის დღის წესრიგს და ოქმის მასალებს.

**8.7.2. კათედრის წევრი ვალდებულია:**

ა) იყოს კრიტიკული და თვითკრიტიკული;

ბ) დაესწროს კათედრის სხდომებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს სამუშაო გეგმის შედგენაში;

დ) დაიცვას პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ე)სწავლის პროცესში გამოიყენოს სწავლება-სწავლის თანამედროვე მიდგომები/მეთოდები;

ვ)სასწავლო წლის დაწყებამდე, შეადგინოს საგნის თემატური გეგმა/კურიკულუმი;

თ) იცნობდეს:

- საგნობრივ სტანდარტებს;
- ეროვნულ სასწავლო გეგმას;
- სასკოლო სასწავლო გეგმას;
- შინაგანაწესს;
- დებულებას.

**8.7.3. კათედრის წევრი პასუხისმგებელია:**

ა)სახელმძღვანელოებისა (გრიფმინიჭებული და დამხმარე) და დამხმარე სასწავლო მასალის/რესურსების შერჩევაზე;

ბ)პროფესიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებასა და გამოცდილების გაზიარებაზე;

გ)მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობითი ურთიერთობაზე;

დ) იყოს კრიტიკული და თვითკრიტიკული;

ე)ჰქონდეს უნარი კრიტიკულად შეაფასოს თვისი და კოლეგის საქმიანობა და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე;

ვ)მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება-შენახვაზე.

## თავი IX

**9.1. კლასის დამრიგებელი - სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები**

გიმნაზიაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის გაცნობაც ხდება აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მიერ დამრიგებლების შერჩევის/დანიშვნის შემდეგ, პედსაბჭოს დასრულებისთანავე. სადამრიგებლო პროგრამა ხელს უწყობს გიმნაზიაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო კულტურის ჩამოყალიბებას, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას, განსხვავებული შესაძლებლობისა და უნარების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათი შესაძლებლობების წახალისებას, ზოგადი განათლების ეროვნული პრინციპების განხორციელებას.

დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზების პირველი რგოლი. მისი მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, იგი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება.

**დამრიგებლის მუშაობის მიზანი:**

დამრიგებლის მუშაობის მიზანია კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებაში ხელშეწყობა, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში დახმარება.

**დამრიგებელს ევალება:**

რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ასაკის შესაბამისად, ხელი შეუწყოს მოსწავლეს და განუვითაროს:

- პიროვნული და მორალური თვისებები;
- გარემოს დაცვითი კულტურა;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას;
- თვალსაწიერის გაფართოებას;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებას;
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში, უსაფრთხოების, ძალადობის და ბულინგის პრევენციის გაცნობიერებაში;
- დამრიგებელი არის შუამავალი რგოლი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- ვალდებულია მშობელს შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შედეგები გააცნოს თვეში მინიმუმ ერთხელ;
- მოახდინოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება და შევსება ელექტრონული ჟურნალში;
- უზრუნველყოს, სასწავლო წლის დასაწყისშივე, მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
- სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, უზრუნველყოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის (შეფასება, გაცდენების, დახასიათება) მიწოდება;
- დაეხმაროს მოსწავლეს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, საკუთარი აზრის და ფიქსირების საშუალებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში;
- დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, არ დაუშვას მათი დამცირება, ან ფიზიკური შეურაცხყოფა;
- მოაწესრიგოს სადამრიგებლო კლასის ოთახი, შეავსოს თვალსაჩინოებით (იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე დააზიანებს სასკოლო ინვენტარს, მოითხოვოს მშობლისგან მატერიალური ზარალის ანაზღაურება);
- უზრუნველყოს მოსწავლეთა წახალისება სხვადასხვა კლასგარეშე მუშაობაში მონაწილეობისა და წარმატებების მიღებისას;

დამრიგებელი მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობს, დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. თუ მოსწავლე გაკვეთილებს აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს გაცდენის მიზეზი.

მოიპოვოს ინფორმაცია საგნის მასწავლებლისაგან სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატების შესახებ. სასწავლო წლის დასრულებისას, მან უნდა გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი, რის საფუძველზეც დაწერს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც აღწერს:

- მოსწავლის დადებით მხარეებს, მის წარმატებებს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში;
- მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.
- დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის დაბალი ქულის (5-ზე დაბალი ქულა) შემთხვევაში, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე მოსალოდნელი შედეგების შესახებ, კერძოდ, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესი მომდევნო სასწავლო წლებში საფეხურის დაძლევისათვის;
- დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.

კლასის დამრიგებელმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ხელთ არსებული რესურსები: ადამიანური, და მატერიალური, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დამრიგებელმა სასწავლო წლის დასაწყისში უნდა შეადგინოს სამუშაო გეგმა, გაითვალისწინოს შიდა სასკოლო სასწავლო შემეცნებითი, სპორტული, საკლუბო აქტივობების ღონისძიებები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გაიცნონ თანატოლები, დაამყარონ მათთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობები.

**დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება:**

- აღზრდის მთლიანობის პრინციპს;

სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მიზანი ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;

- შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდა;

ყველა ბავშვი განსხვავებულია. ისინი დაჯილდოვებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

- მოსწავლეთა ჩართულობა;

ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობის განვითარებას. დამრიგებელმა, ჩართულობის ხელშესაწყობად, მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა.) დადეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.

- თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

**სადამრიგებლო საათის სასაუბრო მიმართულებები:**

სადამრიგებლო საუბრები, სადამრიგებლო საათი შესაძლოა შედგეს როგორც კლასში/სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, მაგ. ექსკურსიაზე ან/და სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებზე.

**P.S.** სადამრიგებლო პროგრამა სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

# დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა

## ამონაწერი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზიის რექტორი:
მელქისედეკი (ხაჩიძე)
მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი
03/2; 24.01. 2023 წელი

ამონაწერი

## 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან

ხარაგაული
2023 წელი




**სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები**

გიმნაზიაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის გაცნობაც ხდება სასწავლო პროცესების მენეჯერის მიერ შერჩევის/დანიშვნის შემდეგ პედსაბჭოს დასრულებისთანავე. სადამრიგებლო პროგრამა ხელს უწყობს სკოლაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო კულტურის ჩამოყალიბებას, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას, განსხვავებული შესაძლებლობისა და უნერების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათი შესაძლებლობების წახალისებას, ზოგადი განათლების ეროვნული პრინციპების განხორციელებას.

დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზების პირველი რგოლი. მისი მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, იგი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება.

**დამრიგებლის მუშაობის მიზანი:**

დამრიგებლის მუშაობის მიზანია კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

**დამრიგებელს ევალება:**

რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ასაკის შესაბამისად, ხელი შეუწყოს მოსწავლეს და განუვითაროს:

- პიროვნული და მორალური თვისებები;
- გარემოს დაცვითი კულტურა;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას;
- თვალსაწიერის გაფართოებას;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებას;

- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში, უსაფრთხოების, ძალადობის და ბულინგის პრევენციის გაცნობიერებაში;
- დამრიგებელი არის შუამავალი რგოლი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- ვალდებულია მშობელს შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შედეგები გააცნოს თვეში მინიმუმ ერთხელ;
- მოახდინოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება და ჟურნალის შევსება;
- უზრუნველყოს, სასწავლო წლის დასაწყისშივე, მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
- სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი მიმღები სკოლისათვის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის (შეფასება, გაცდენების, დახასიათება) მიწოდება;
- დაეხმაროს მოსწავლეს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, საკუთარი აზრის და ფიქსირების საშუალებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში;
- დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, არ დაუშვას მათი დამცირება, ან ფიზიკური შეურაცხყოფა;
- მოაწესრიგოს სადამრიგებლო კლასის ოთახი, შეავსოს თვალსაჩინოებით (იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე დააზიანებს სასკოლო ინვენტარს, მოითხოვოს მშობლისგან მატერიალური ზარალის ანაზღაურება);
- უზრუნველყოს მოსწავლეთა წახალისება სხვადასხვა კლასგარეშე მუშაობაში მონაწილეობისა და წარმატებების მიღებისას;

დამრიგებელი მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობს, რა დროსაც იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. თუ მოსწავლე გაკვეთილებს აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს გაცდენის მიზეზი. მოიპოვოს ინფორმაცია საგნის მასწავლებლისაგან სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატების შესახებ. სასწავლო წლის დასრულებისას, მან უნდა გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი, რის საფუძველზეც დაწერს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც აღწერს:

- მოსწავლის დადებით მხარეებს, მის წარმატებებს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში;
- მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.
- დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის დაბალი ნიშნის –5-ზე დაბალი ქულის შემთხვევაში, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე მოსალოდნელი შედეგების შესახებ, კერძოდ, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესი მომდევნო სასწავლო წლებში საფეხურის დაძლევისათვის;
- დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.

კლასის დამრიგებელმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ხელთ არსებულ რესურსები: ადამიანური, და მატერიალური, ზოგ შემთხვევაში ფინანსურიც, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დამრიგებელმა უნდა დაგეგმოს შიდა სასკოლო შემეცნებითი, სპორტული, საკლუბო აქტივობების ღონისძიებები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გაიცნონ თანატოლები, დაამყარონ მათთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობები.

**დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება:**

- აღზრდის მთლიანობის პრინციპს;

სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მიზანი ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;

- შემოქმედი, აქტიურიპიროვნების აღზრდა;

ყველა ბავშვი განსხვავებულია. ისინი დაჯილდოვებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით, შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

- მოსწავლეთა ჩართულობა;

ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას. დამრიგებელმა, ჩართულობის ხელშესაწყობად, მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა.) დადეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.

- თანამშრომობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

**სადამრიგებლო საათის სასაუბრო მიმართულებები:**

სადამრიგებლო საუბრები სადამრიგებლო საათი შესაძლოა შედგეს როგორც კლასში/სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, მაგ. ექსკურსიაზე ან/და სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებზე.

**P.S.** სადამრიგებლო პროგრამა სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.

ხარაგაული
2022 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

**სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები**

გიმნაზიაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის გაცნობაც ხდება სასწავლო პროცესების მენეჯერის მიერ შერჩევის/დანიშვნის შემდეგ პედსაბჭოს დასრულებისთანავე. სადამრიგებლო პროგრამა ხელს უწყობს სკოლაში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, საერთო კულტურის ჩამოყალიბებას, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას, განსხვავებული შესაძლებლობისა და უნერების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათი შესაძლებლობების წახალისებას, ზოგადი განათლების ეროვნული პრინციპების განხორციელებას.

დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზების პირველი რგოლი. მისი მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, იგი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება.

**დამრიგებლის მუშაობის მიზანი:**

დამრიგებლის მუშაობის მიზანია კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

**დამრიგებელს ევალება:**

რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ასაკის შესაბამისად, ხელი შეუწყოს მოსწავლეს და განუვითაროს:

- პიროვნული და მორალური თვისებები;
- გარემოს დაცვითი კულტურა;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას;
- თვალსაწიერის გაფართოებას;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებას;
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში, უსაფრთხოების, ძალადობის და ბულინგის პრევენციის გაცნობიერებაში;
- დამრიგებელი არის შუამავალი რგოლი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- ვალდებულია მშობელს შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შედეგები გააცნოს თვეში მინიმუმ ერთხელ;
- მოახდინოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება და ჟურნალის შევსება;
- უზრუნველყოს, სასწავლო წლის დასაწყისშივე, მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
- სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი მიმღები სკოლისათვის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაციის (შეფასება, გაცდენების, დახასიათება) მიწოდება;
- დაეხმაროს მოსწავლეს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, საკუთარი აზრის და ფიქსირების საშუალებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში;
- დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, არ დაუშვას მათი დამცირება, ან ფიზიკური შეურაცხყოფა;
- მოაწესრიგოს სადამრიგებლო კლასის ოთახი, შეავსოს თვალსაჩინოებით (იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე დააზიანებს სასკოლო ინვენტარს, მოითხოვოს მშობლისგან მატერიალური ზარალის ანაზღაურება);

- ➢ უზრუნველყოს მოსწავლეთა წახალისება სხვადასხვა კლასგარეშე მუშაობაში მონაწილეობისა და წარმატებების მიღებისას;

დამრიგებელი მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობს, რა დროსაც იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. თუ მოსწავლე გაკვეთილებს აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს გაცდენის მიზეზი. მოიპოვოს ინფორმაცია საგნის მასწავლებლისაგან სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატების შესახებ. სასწავლო წლის დასრულებისას, მან უნდა გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი, რის საფუძველზეც დაწერს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც აღწერს:

- ➢ მოსწავლის დადებით მხარეებს, მის წარმატებებს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში;
- ➢ მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.
- ➢ დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის დაბალი ნიშნის –5-ზე დაბალი ქულის შემთხვევაში, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე მოსალოდნელი შედეგების შესახებ, კერძოდ, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესი მომდევნო სასწავლო წლებში საფეხურის დაძლევისათვის;
- ➢ დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.

კლასის დამრიგებელმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ხელთ არსებულ რესურსები: ადამიანური, და მატერიალური, ზოგ შემთხვევაში ფინანსურიც, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დამრიგებელმა უნდა დაგეგმოს შიდა სასკოლო შემეცნებითი, სპორტული, საკლუბო აქტივობების ღონისძიებები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გაიცნონ თანატოლები, დაამყარონ მათთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობები.

**დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება:**

- ➢ აღზრდის მთლიანობის პრინციპს;

სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მიზანი ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;

- ➢ შემოქმედი, აქტიურიპიროვნების აღზრდა;

ყველა ბავშვი განსხვავებულია. ისინი დაჯილდოვებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

- ➢ მოსწავლეთა ჩართულობა;

ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას. დამრიგებელმა, ჩართულობის ხელშესაწყობად, მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა.) დადგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.

- თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

**სადამრიგებლო საათის სასაუბრო მიმართულებები:**

სადამრიგებლო საუბრები სადამრიგებლო საათი შესაძლოა შედგეს როგორც კლასში/სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, მაგ. ექსკურსიაზე ან/და სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებზე.

P.S. სადამრიგებლო პროგრამა სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.

## თავი X

### მუხლი 10. გახანგრძლივებული ჯგუფი/ჯგუფები

გიმნაზია, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, ქმნის კომფორტულ სასკოლო სასწავლო გარემოს. მშობელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია და ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა გაყვანას სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. გიმნაზია მათ სთავაზობს გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურებას. დაწყებითი საფეხურზე, თითოეულ კლასს ჰყავს ჯგუფის ერთი ხელმძღვანელი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე, მშობელთა სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ორ კლასს ჰყავს ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი. გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი მოსწავლეებს ეხმარება დავალებების მომზადებაში და საჭიროების შემთხვევაში დაიხმარს საგნის/საგნების მასწავლებლებს. გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელთა ფუნქციები გაწერილია გიმნაზიის შინაგანაწესში.

**შენიშვნა:** კათედრის თავმჯდომარეები, დამრიგებლებისა და გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების შერჩევა დაიწყება მოხდება გიმნაზიისათვის საგანმანათლებლო მომსაურების უფლების მინიჭების - ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ.

## თავი XI

### მუხლი 11. მოსწავლის აკადემიური მიღწევა, შეფასების დონე

#### 11.1. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი

ერთსა და იმავე კლასში, ერთიდაიგივე გაკვეთილზე ბავშვები ასრულებენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს და ისინი ფასდებიან შესაბამისი დონის მიხედვით.

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასების კომპონენტები ინფორმაციას იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანაა იმის ჩვენება

- როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის დამახსოვრებისა და ნასწავლი მასალის ურთიერთდაკავშირების პროცესი;
- როგორია მისი წინარე ცოდნა და წარმოდგენებიახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე;
- რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, დამოუკიდებლად შეფასებას;
- რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

- რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების შინაარსიან კონტექსტებში ჩვენებას.

მოტივაციას მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეების უნარი, შეაფასონ საკუთარი პროგრესი და რეგრესი.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ/შემაჯამებელი, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებითაც მოსწავლეს შეუძლია ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და დროულად გამოყენება.

**11.2. შეფასების მიზნები:**

- მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთათვის სწავლის სწავლება;
- სწავლების კონკრეტული მეთოდების ეფექტიანობის შემოწმება;
- სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა;
- მშობლების ჩართვა სწავლების პროცესში და მათთან კომუნიკაციის დამყარება;
- სკოლაში მოსწავლეთა მოსწრების შეფასება არის ხშირი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი.

თითოეული მოსწავლის კლასში მიმდინარე პროცესების აქტიური თანამონაწილეობის შესახებ დასკვნის მიზნით, გიმნაზია პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს, კერძოდ - ხომ არ იზღუდება მოსწავლის თანამონაწილეობის შესაძლებლობა, რა ხერხებითა და მეთოდებით ახდენს მასწავლებელი მოსწავლეზე დაკვირვებას, მასწავლებელი აანალიზებს თუ არა მოსწავლის ზეპირ პასუხებს, დისკუსიაში მონაწილეობას, წერის პროცესს, ნაწერს, განხორციელებულ პროექტებს, სავარჯიშოების შესრულებას და ა.შ. სწორი დასკვნისათვის - რამდენადაა მიახლოებული ან/და დაცილებული მოსწავლე შედეგის მიღწევის სასურველ დონეს.

გიმნაზიისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება, კერძოდ:

- ახალ სიტუაციებთან, ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი;
- დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების, კვლევის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები;
- საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარი;
- ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი;
- კომუნიკაციის უნარი;
- ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;
- პასუხისმგებლობის გააზრებისა და სხვათა ქმედების გაგება-გათვალისწინების უნარი;

გიმნაზიისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეს ვასწავლოთ საკუთარი მიღწევის შეფასება არა მხოლოდ რომელიმე უნარის შეძენა, არამედ მისი გამოყენების კუთხით დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ბუნებრივ გარემოში სწავლა ზრდის მოზარდის მოტივაციას და სასწავლი საკითხების მიმართ, სადაც სასწავლო საკითხი თვალსაჩინოდ და რეალურად არის მოცემული - სასწავლო პროცესი უფრო

წარმატებულია. სწავლა პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით უკეთეს წარმოდგენას ქმნის შესასწავლ საკითხზე, მის არსსა და გამკლავების შესაძლო გზებზე.
ინფორმაციის ვიზუალურად მიწოდება ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, ვინაიდან გარემოდან ინფორმაციის უმეტესი ნაწილი სტანდარტულად სწორედ მხედველობით აღიქმება.

მოსწავლის მოტივაციის შენარჩუნებას ხელს შეუწყობს დროული და ადეკვატური შეფასება - მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე გაკეთებული უკუკავშირი, მნიშვნელოვანია ბავშვს შევუქოთ მისი მცდელობა, მიზანდასახულობა. გიმნაზიის პედაგოგები შეძლებენ ასწავლონ მოსწავლეებს საკუთარი ემოციების მართვა და განუვითარონ თვითმოტივაცია. რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ, ავამაღლოთ სწავლის შედეგები.

გიმნაზიაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განსამზღვრელი და განმავითარებელი;** დაწყებითი **საფეხურის I-IVკლასებში და V კლასის I სემესტრში** მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, კლასის დამრიგებელი სემესტრისა და წლის ბოლოს საკუთარი და საგნის მასწავლებლებისაგან მიღებული მოკლე წერილობითი შეფასების საფუძველზე, წერს **შემაჯამებელ, წერილობით კომენტარს - განმავითარებელ შეფასებას,** აღნიშნავს მის წარმატებას და მიუთითებს, რომელ საგანში სჭირდება გავარჯიშება მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად. ყოველდღიური დავალებების ბოლოს კეთდება კომენტარები - განმავითარებელი შეფასება, რომელიც შემუშავებულია დაწყებითი კლასის კათედრის მიერ.
**V(II სემესტრი) - XII კლასებში** მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. **ხოლო საგნებში:** „სპორტი", „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით - „ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა".
ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით ნებაყოფლობით არასავალდებულო საგანში საღვთო სჯული მოსწავლე ფასდება „ჩაეთვალა"/„არ ჩაეთვალას" პრინციპით, ხოლო სავალდებულო ფაკულტატურ საგანში ქიმია VII კლასში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფსება, მაგრამ მიღებული ქულა არ ახდენს გავლენას საერთო წლიურ ნიშანზე.

მოსწავლე ყოფაქცევაში არ შეფასდება და მისთვის ქულების დაკლება დისციპლინური დარღვევის გამო, მისი ქცევითი პრობლემები არ აისახება აკადემიურ შეფასებაზე.

### 11.3. განსამზღვრელი შეფასება

განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი აკონტროლებს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით, აკონტროლებს სწავლის ხარისხს და განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს.
განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება 10 – 1 ქულა და გამოიყენება V(II სემესტრი) - XII კლასებში.

შეფასების დონეები 5 დონის გათვალისწინებით 10 ქულიანი სისტემით მოსწავლეთა აკადემიური მიღწევა ფასდება:




11.4. განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა ნიშნის დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად; განმავითარებელი შეფასებით ხდება თითოეულ მოსწავლის განვითარების დინამიკის გაკონტროლება. განმავითარებელი შეფასება შეიძლება იყოს **სიტყვიერი ან/და წერილობითი** კომენტარები/განმავითარებელი შეფასება გამოიყენება I-IV და V-XII კლასებში რეკომენდაციების მისაცემად, სწავლის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

11.5.შეფასების კომპონენტები, შემაჯამებელი დავალებების შედეგების გაუმჯობესების აქტივობები

11.5.1. შემაჯამებელი დავალებების შედეგების გაუმჯობესების აქტივობები

შემაჯამებელი დავალების შედეგების განხილვის შემდეგ, საშინაო დავალების კომპონენტში მიეცემათ წინასწარ მომზადებული ტექსტი, რომლიდანაც ამოწერენ ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის აღმნიშვნელ სიტყვებს; მარკირებით აღნიშნავენ გავრცობილი, გაუვრცობელი შედგენილობის წინადადებებს, ჩაასწორებენ ციტირებისა და დიალოგის გადმოცემის სასვენ ნიშნებს, შემაჯამებელი დავალების განხილვის შემდეგი საკლასო დავალების კომპონენტში შეასრულებენ შემდეგ აქტივობებს - წყვილებში განიხილავენ წინასწარ მომზადებულ ტექსტს აბზაცის, სათაურისა და ქვესათაურის სწორად გამოყენების შესახებ, დაჯგუფდებიან, თითოეული ჯგუფი შეარჩევს სახელმძღვანელოში განვლილ ტექსტს და აღნიშნული ტექსტის გამოყენებით მოამზადებენ პრეზენტაციას აბზაცის, სათაურისა და ქვესათაურის სწორად გამოყენების შესახებ.

თავი XII

მუხლი 12. მოსწავლეზე დაკვირვების ცხრილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

„___" „_________" 2022-2023 წელი „___" კლასი „____" „__________"

საგანი მასწავლებელი:

თითოეული კომპონენტი ფასდება სამი ქულით: 3 – მკაფიოდ გამოხატული თვისება ან უნარი; 2 – ნაკლებად გამოხატული თვისება ან უნარი; 1 - სუსტად

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | პასუხისმგებლობა | სისტემატიურად ასრულებს დავალებებს | არასოდეს ავიწყდება სასწავლო ნივთები. არაცდენს, არაგვიანებს | იცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, აცნობიერებს თავის და სხვისუფლებებს |
| 2 | თანამშრომლობა | ზრდილობიანია და პატივს სცემს სხვებს, გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ | თანამშრომლობს ჯგუფებთან მუშაობის დროს | არის მეგობრული და კომუნიკაბელური |
| 3 | კრიტიკული აზროვნება | მონაწილეობს დისკუსიებში, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას | ბევრ კითხვას სვამს, მაძიებელია | აქვს საინტერესო იდეები |
| 4 | ცოდნისგამოყენება | ახარისხებს საჭიროებების მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას, ახერხებს მიღებული ცოდნის დაკავშირებას კონკრეტულ საკითხებთან | ორგანიზებულია, იცავს დროის ლიმიტს, ატარებს ექსპერიმენტებს, ახდენს შეფასებასა და ანალიზს | სვამს პრობლემას და განსაზღვრავს გადაჭრის გზებს |
| 5 | საპრეზენტაციო უნარები | ნათლად და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან | იყენებს თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს | იყენებს საინფომაციო ტექნოლოგიებს, ფლობს ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების უნარებს |
| 6 | შემოქმედებითობა | აქვს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური იდეები | აანალიზებს მოვლენებს და ფაქტებს, ყოველთვის აქვს განსაკუთრებული ინტერპრეტაცია | შემოქმედია, შეუძლია სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ტექსტის შექმნა |
| 7 | ლოგიკური აზროვნება | შეუძლია მიღებული შედეგების განზოგადება, კავშირების დამყარება სხვა სტრუქტურებთან | ახერხებს პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო იდეის ჩამოყალიბებას, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტიანობის დასაბუთებას | ახერხებსსხვადასხვას ახითწარმოდგენილი ინფორმაციისინტერპ რეტაციას, ადგენსკავშირებსდამ იმართებებს, აყალიბებსანალოგიებ ს, ახდენს ინფორმაციის გადაცემისას |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | საკითხის არსის წარმოჩენას |
| 8 | განსაკუთრებული მახასიათებლები | აქვს მხატვრული შემოქმედებითი უნარები, ხატავს, ძერწავს კარგად | აქვს ხელოვნების ნიჭი | აქვს გამოხატული სახელოვნებო და სასცენ უნარები, დრამატულინიჭი |

12.1. ანალიზის ფორმა 2022-2023 სასწავლო წელი

1. თემის დასახელება ------------------------------------------------------------------------------------
2. თემის დასახელება ------------------------------------------------------------------------------------
3. თემის დასახელება ------------------------------------------------------------------------------------
4. თემის დასახელება ------------------------------------------------------------------------------------
5. თემის დასახელება ------------------------------------------------------------------------------------

გვარი-----------------------------------------------სახელი--------------------------- კლასი-----------------

| საკითხის № | №1 ტესტი | №2 ტესტი | №3 ტესტი | №4 ტესტი | №5 ტესტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 6 | | | | | |
| 7 | | | | | |
| 8 | | | | | |
| სწორი პასუხები | | | | | |
| არასწორი პასუხები | | | | | |

12.2. წერითი დავალებების ანალიზის ფორმა

| № | თემის დასახელება | პასუხობს თემის სათაურს | ნაწილობრივ პასუხობს | სრულიად ვერ პასუხობს |
|---|---|---|---|---|
| | გამოსაყენებელი პირობითი ნიშნები | + | ➢ | - |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |

12.3. ხარვეზების აღმოფხვრის სტრატეგია

| № | საკითხი | რა გამოვიყენე |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| დამატებით გაკვეთილები | | |
| მოსწავლეთა უკუკავშირი | | |
| შეკითხვები | | |
| საკითხის ანალიზი | | |
| დისკუსია | | |
| დებატი | | |
| ლექცია | | |
| გამოკითხვა | | |

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

1. **მიმდინარე საშინაო დავალება** - VII - XII კლასები;
2. **მიმდინარე საკლასო დავალება** - V კლასის II სემესტრი და VI-XII კლასები;
3. **შემაჯამებელი დავალება** - V კლასის II სემესტრი - VI - XII კლასები.

**I-VI** კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

**I-IV** და **V** კლასის **I** სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

**V** კლასის **II** სემესტრსა და **VII-XII** **კლასებში** საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.

სამივე კომპონენტს ერთნაირი ხვედრითი წილი აქვს.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია




| | I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი | V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი | საბაზო-საშუალო საფეხურები |
|---|---|---|---|
| მიმდინარე საშინაო დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება |
| მიმდინარე საკლასო დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება |
| შემაჯამებელი დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება |

**I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში შემაჯამებელი დავალებები არ არის გათვალისწინებული**

- მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემაჯამებელი სამუშაოს გაცდენის გამო, გიმნაზია მოსწავლეს სემესტრის განმავლობაში უწესებს "აღდგენით სამუშაოს" ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერის წარდგინებით, ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორი ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით და რომელიც უნდა შესრულდეს მოსწავლის გიმნაზიაში გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში; (I – II სემესტრის დასრულებამდე, მინიმუმ 3 დღით ადრე პედაგოგიური საბჭოს ჩატარებამდე);
- თუ მოსწავლე გაცდენის გამო (ტრამვა, ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება) ვერ ესწრება სავალდებულო შემაჯამებელ ან/და კომპლექსურ დავალებას და ვერ შეძლო შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების აღდგენა 10 დღის განმავლობაში, მშობლის

განცხადების საფუძველზე მოსწავლეს ეძლევა აღდგენის შესაძლებლობა; ყველა ასეთი მოსწავლისათვის გიმნაზია ადგენს დამატებით ინდივიდუალურ გრაფიკს, რომელსაც აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის წარდგინებით, ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორი, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით და რომელიც უნდა შესრულდეს 12.XII – 24.XII; 10.V – 15.V (XII კლასელთათვის); 03.VI – 10.VI პერიოდში.

- მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ მათ მიერ შესრულებული სასწავლო აქტივობის შეფასების კრიტერიუმები.
- მასწავლებელი ვალდებულია, მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული **შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალებების დოკუმენტაცია,** რომელშიც წარმოდგენილი იქნება - შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების ნომერი, დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული დავალება, შეფასების კრიტერიუმები. ასევე, მოსწავლეების შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალების რამდენიმე ნიმუში ან დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა;
- აღდგენილი დავალების ნიშნის შეტანა ხდება ელექტრონულ ჟურნალში შემაჯამებელი დავალების გრაფაში იმ რიცხვით, როცა ეს დავალება შესრულდა;
- თუ მოსწავლეს არ აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი იყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი ან/და კომპლექსური დავალებების რაოდენობის ჯამზე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შეფასებაზე.

მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემაჯამებელი დავალებების შედეგების განხილვის შემდეგ, საშინაო დავალების კომპონენტში მიეცემათ წინასწარ მომზადებული ტექსტი, საიდანაც ამოიწერენ ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის აღმნიშვნელ სიტყვებს, მარკერით აღნიშნავენ გავრცობილი და გაუვრცობელი შედგენილობის წინადადებებს, ჩაასწორებენ ციტირებისა და დიალოგის გადმოცემის სასვენ ნიშნებს.

შემაჯამებელი დავალებების შედეგების განხილვის შემდეგ, საკლასო დავალების კომპონენტში შეასრულებენ შემდეგ აქტივობებს - წყვილებში განიხილავენ წინასწარ მომზადებულ ტექსტს აბზაცის, სათაურისა და ქვესათაურის სწორად გამოყენების შესახებ, დაჯგუფდებიან, თითოეული ჯგუფი შეარჩევს სახელმძღვანელოში განვლილ ტექსტს და აღნიშნული ტექსტის გამოყენებით მოამზადებენ პრეზენტაციას აბზაცის, სათაურისა და ქვესათაურის სწორად გამოყენების შესახებ.

მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ წლიური შეფასება, ენიშნებათ აუცილებელი დამატებითი გაკვეთილები ზაფხულის არდადეგებზე და საშემოდგომო გამოცდები **20 აგვისტოს** შემდგომ, **ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.**

მოსწავლის გიმნაზიიდან სხვა სკოლაში გადასასვლელად წლიური შეფასებისათვის საჭიროა „5,0" ქულა და მეტი.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

| კომპონენტები | მიღებული ნიშნები | ნიშნების რაოდენობა |
|---|---|---|
| საშინაო | 10; 8; | 2 |
| საკლასო | 8; 9; 8; | 3 |
| შემაჯამებელი დავალება | 10,8 | 2 |
| | შესრულებელი | 2 |
| | შეუსრულებელი | 2 |
| | სულ | (2 შესრულებულს + 2 შეუსრულებელი) 4 |
| ჯამი | ქულა - 60; ნიშანი - 7 | ნიშანი - 9 |
| 60/9 = 6.7 = 7 | | |

- ➢ საბოლოო შეფასება იწერება არანაკლებ სამი მიმდინარე შეფასების საფუძველზე;
- ➢ მოსწავლის ან/და მისი მშობლის წერილობითი განცხადების საფუძველზე საბოლოო შეფასების მიღებიდან **ორი დღის** განმავლობაში შეფასების გადასახედად რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია;
- ➢ მიმდინარე ნიშნების გამოსწორება შესაძლებელია საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით – სემესტრის ბოლომდე.

12.4. კლასისა და საფეხურის დაძლევა

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში V-XI კლასებში კონკრეტული საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5.0 და მეტი ქულა, საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელი მინიმალური ბარიერია 5,0 ქულა და მეტი.

- ➢ დაწყებითი საფეხურის დაძლევისას, მოსწავლე სწავლას განაგრძობს საბაზო საფეხურზე;
- ➢ საბაზო საფეხურის დაძლევისას მოსწავლეს შეუძლია სწავლა განაგრძოს საშუალო საფეხურზე ან/და მიიღოს საბაზო განათლების ატესტატი სკოლიდან გასვლის შემთხვევაში საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად (მოსწავლის მოთხოვნის საფუძველზე);
- ➢ საშუალო საფეხურის დაძლევისას მოსწავლეს ეძლევა ზოგადი განათლების ატესტატი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად;
- ➢ საბაზო და საშუალო განათლების ატესტატები გაიცემა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დადგენილი წესით.

- ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები:
- საგნის მიმდინარე ნიშნები;
- საგნის სემესტრული ნიშანი;
- საგნის წლიური ნიშანი;
- საფეხურის საერთო ნიშანი.

## თავი XIII

## მუხლი 13. ქულების გამოანგარიშების წესი, საფეხურის დაძლევა, გამოცდები

13.1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა)მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი იყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ)მიღებული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ)იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

13.2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი იყოფა ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) წლიური გამოცდის ქულა აისახება წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

13.3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულა გამოითვლება იმავე პრინციპით, რომლითაც გამოითვლება წლიური ქულა: ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა (მაგ. მათემატიკა X კლასი, მათემატიკა XI კლასი, მათემატიკა XII კლასი, ქართული X კლასი, ქართული XI კლასი, ქართული XII კლასი და ა.შ.) და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

13.4. გამოცდის ტიპები:

გიმნაზიაში 2022-2023 სასწავლო წელს გამოცდების ჩატარება მოხდება მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე - საშემოდგომო, სემესტრული და ექსტერნატის ფორმით დამლევის გამოცდები.

13.5. სემესტრული გამოცდა:

დაინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს **2 კვირის** ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის, სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს აღმასრულებელ დირექტორს. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან და საგნის მასწავლებელთან განცხადების განხილვის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილების მიღება მოსწავლის სემესტრულ გამოცდის დანიშვნა-არ დანიშვნის შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე მშობელს უსაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებას არგუმენტების მოხმობით.

გამოცდაზე დაშვებულ მოსწავლეს, გამოცდები ჩაუტარდება მიუკერძოებლად და ობიექტურად.

გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

საბაზო-საშუალო საფეხურებზე, მოსწავლის მიერ, სასწავლო წლის განმავლობაში, კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების **30%** და მეტის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე შეფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, საქართველოს განათლების სამინისტროს დადგენილი წესის შესაბამისად.

კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ჩატარებული შემაჯამებელი დავალებისას გაცდენილი დღე/დღეები, თუ მას მოსწავლე აღადგენს მოგვიანებით.
წლიური სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები სკოლაში არ ჩატარდება.

**13.6. საშემოდგომო გამოცდა:**
კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5.0 და მეტი ქულა. მოსწავლე, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა, რომელიც წინასწარ შედგენილი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მიერ შეთანხმებულია აღმასრულებელ დირექტორთან. საშემოდგომო გამოცდების გრაფიკი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ხდება მისი განთავსება თვალსაჩინო ადგილზე. გრაფიკის შესაბამისად, სკოლა მოსწავლეს კონსულტაციებს გაუწევს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მოსაწავლეს, რომელსაც არ ექნება წლიური შეფასება, ენიშნება აუცილებელი დამატებითი გაკვეთილები ზაფხულის არდადეგებზე და საშემოდგომო გამოცდები აგვისტოს თვეში.
მოსწავლე, საშემოდგომო გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არ შეფასდება.
საშემოდგომო გამოცდის ნიშანი იძენს საგნის წლიური ნიშნის სტატუსს.

**15.7. ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები**
გიმნაზიაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

## თავი XIV

### მუხლი 14. გაცდენები, შინ სწავლება, მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა

**14.1. გაცდენები**
მოსწავლეების დასწრების რეგულარული აღრიცხვა, მისი ანალიზი და პრობლემებზე რეაგირება სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში.
გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე ელექტრონულ ჟურნალში, გაკვეთილის დაწყებიდან 5 წუთის განმავლობაში, პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი, ხოლო გაცდენების მონიტორინგზე კლასის დამრიგებელი.
სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნების სწავლებასა და სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, პრიორიტეტად მიიჩნევს ცხრა კომპენტეციას, კერძოდ: წიგნიერება, მედია წიგნიერება, ციფრული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, ეკოლოგიური წიგნიერება, მრავალეროვნული წიგნიერება, სემიოტიკური კომპეტენცია, სწავლის სწავლა და სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში და ხელს უწყობს გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში, სკოლას დაეხმარება მისიის შესრულებაში.

14.2. შინ სწავლება

შინ სწავლების შემთხვევაში გიმნაზია ადგენს განრიგს - კვირის განმავლობაში მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას, რომლის მიხედვითაც რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს/განახორციელებენ მოსწავლესთან ვიზიტს.

გიმნაზია ხელს შეუწყობს მოსწავლე(ებ)ს შემაჯამებელი დავალებების ჩატარება/აღდგენაში. სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები.

14.3. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა

მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (ბრძანების №05/ნ; 06 იანვარი, 2012 წელი). ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის N20; 04.05.2005,მუხ.143, მუხლი 33³.

(კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ) 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით - №04/ნ; 11.01.2017 წ.; №95/ნ; 09.09.2020წ. დაცვით).

თავი XV

მუხლი 15. საგანმანათლებლო რესურსები, ისგ-ს ჩარჩო

15.1. 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასებისა და საგნების მიხედვით.

I კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ნ.სახაჩიძე, ნ. ხაჭვანი, ნ. ჭელიძე | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი „აიმც" |
| 2. | მათემატიკა (მოსწავლის რვეულით) | თ. კვირკველია, თ. შოშიაშვილი, მ. დევდარიანი. | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი |
| 3. | ბუნებისმეტყველება (მოსწავლის რვეულით) | გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი | „ბაკურ სულაკაური"/2018 |
| 4. | I უცხოური ენა - ინგლისური New building boocks 1 | თ.ჯაფარიძე | „ბაკურ სულაკაური"/ |
| 5. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ლადანიძე | „კლიო" / 2018 |
| 6. | მუსიკა | | „მაცნე" |
| 7. | სპორტი | ლ. კიკალიშვილი | შ.პ.ს. „პეგასი"/2018წ. ასევე, ინტერნეტ გვერდი |
| 8. | კომპიუტერული ტექნოლოგიები (ისტ) | ნ. ჯამასპიშვილი | „დიოგენე" |

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

II კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ნ. სახაჩიძე, ნ. ხაჭვანი, ნ. ჭელიძე | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი „აიმც" |
| 2. | მათემატიკა (მოსწავლისრვეულით) | თ. კვირკველია, თ. შომიაშვილი, მ. დევდარიანი. | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი „აიმც" |
| 3. | ბუნებისმეტყველება (მოსწავლის რვეულით) | გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე | „ბაკურ სულაკაური"/2018 |
| 4. | I უცხოური ენა - ინგლისური New building boocks 2 | თ.ჯაფარიძე | „ბაკურ სულაკაური" |
| 5. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე | „კლიო" / 2018 |
| 6 | კომპიუტერული ტექნოლოგიები (ისტ) | | |
| 7. | მუსიკა | | „მაცნე" |
| 8 | სპორტი | ლ. კიკალიშვილი | DშპS „ პეგასი"/2018წ. სვეც. ინტერნეტ გვერდი |

III კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1 | ქართული ენა და ლიტ. | ნ. სახაჩიძე, ნ. ხაჭვანი, ნ. ჭელიძე | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი „აიმც" |
| 2 | მათემატიკა | თ. კვირკველია, თ. შომიაშვილი, მ. დევდარიანი. | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი |
| 3. | ბუნებისმეტყველება | გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე | „ბაკურ სულაკაური"/2018 |
| 4. | I უცხოური ენა - ინგლისური New building boocks 3 | თ.ჯაფარიძე | „ბაკურ სულაკაური" |
| 5. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე | „კლიო" / 2018 |
| | ინფორ. და საკ. ტექნ. (ისტ) | | |
| 6. | მუსიკა | | „მაცნე" |
| 7. | სპორტი | ლ. აფციაური, მ. ტუღუში | „დიოგენე"/2018წ. ასვეც. ინტერნეტ გვერდი |
| 8. | მე და საზოგადოება | ნ. ტალახაძე | „სიდი" 2018 |

IV კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ნ. სახაჩიძე, ნ.ხაჭვანი, ნ. ჭელიძე | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. | მათემატიკა | თ.კვირკველია, თ.მოშიაშვილი, მ.დევდარიანი. | შპს აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი |
| 3. | ბუნებისმეტყველება | გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. ზღიაძე | „ბაკურ სულაკაური"/2018 |
| 4. | I უცხოური ენა - ინგლისური New building bpocks 4 | თ.ჯაფარიძე | „ბაკურ სულაკაური" |
| 5. | კომპიუტერული ტექნოლოგიები (ისტ) | ---------- | ---------------- |
| 6. | სახ. და გამოყ.ხელოვნება | ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე | „კლიო" /2018წ. |
| 7. | მუსიკა | | „მაცნე" |
| 8. | მე და საზოგადოება | ნ.ტალახაძე | „სიდი"/2018წ. |
| 9. | სპორტი | ლ. კიკალიშვილი | D„დიოგენე"/2018წ. ასევე, ინტერნეტ გვერდი |

V კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტერატურა | ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი | შპს საგამომცემლო სახლი სწავლანი |
| 2. | ქართული ენა | ა. არაბული ნ. ნაკუდაშვილი, | „სწავლანი"/2018წ. |
| 3. | მათემატიკა | თინა ბექაური, ავთანდილ საგინაშვილი | ავთანდილი საგინაშვილი |
| 4. | ბუნებისმეტყველება | მ. ზღიაძე, რ. ახვლედიანი | „ბაკურ სულაკაური"/2018 |
| 5. | I უცხოური ენა - ინგლისური NEW BUILDING BRIDGES 5 | თ.ჯაფარიძე | „ბაკურ სულაკაური"/2018 |
| 6. | II უცხოური ენა - რუსული | მ. ბარსეგოვა; | „ოცდამეერთე"/2018 |
| 7. | ჩვენი საქართველო | რ. თოფჩიშვილი, ე. მეძმარიაშვილი, ნ. ელიზბარიშვილი | „კლიო"/2018 |
| 8. | სახ.და გამოყ. ხელ. | ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე | შპს გამომცემლობა „კლიო" |
| 9. | კომპიუტერული ტექნოლოგიები(ისტ) | ნ. ჯამასპიშვილი | „დიოგენე" /2018 |
| 10. | მუსიკა | ნ.ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, მ.ოთიაშვილი, ი.მიქაძე, ი. გაბუნია | შპს გამომცემლობა კლიო „წყაროსთვალი" /2018 |
| 11. | სპორტი | ლ. კიკალიშვილი | „პეგასი" /2011წ. ასევე, ინტერნეტ გვერდი |

VI კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტერატურა | ვ.როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ე. ქურციკიძე | შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი"/2018 |
| 2. | ქართული ენა | ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი | „სწავლანი"/2018 |
| 3. | მათემატიკა | თინა ბექაური, ავთანდილ საგინაშვილი | ავთანდილი საგინაშვილი |
| 4. | ბუნებისმეტყველება | მ. ზღიაძე, რ. ახვლედიანი, | „ბაკურსულაკაური"/2018 |
| 5. | I უცხოური ენა - ინგლისური NEW BUILDING BRIDGES 6 | თ.ჯაფარიძე | შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 6. | II უცხოური ენა - რუსული | მ. ბარსეგოვა; 6კლასი | „ოცდამეერთე"/2018 |
| 7. | ჩვენი საქართველო | რ. თოფჩიშვილი, ე. მეძმარიაშვილი, ნ. ელიზბარიშვილი | „კლიო"/2018 |
| 8. | სახ. და გამოყ. ხელოვნება | | შპს გამომცემლობა კლიო |
| 9. | ინფ. და საკომ. ტექ. (ისტ) | ნ. ჯამასპიშვილი | „დიოგენე" / 2018 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 10. | მუსიკა | ნ.ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, მ.ოთიაშვილი, ი.მიქაძე, ი. გაბუნია | პს გამომცემლობა კლიო, „წყაროსთვალი"/2018 |
| 11. | სპორტი | ლ. აფციაური | „დიოგენე"/2018წ. ახევე. ინტერნეტ გვერდი |

VII კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ლიტერატურა | ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი | „სწავლანი" / 2019 |
| 2 | ქართული ენა | ა.არაბული, ნ.ნაკუდაშვილი | „სწავლანი„2019 წ. |
| 3. | მათემატიკა | თინა ბექაური, ავთანდილ საგინაშვილი, გიორგი ბექაური | ავთანდილი საგინაშვილი |
| 4. | ისტორია | ნატო ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე | შპს გამომცემლობა დიოგენე |
| 5. | გეოგრაფია | მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე | „ბაკურ სულაკაური "/2019 |
| 7. | ბიოლოგია | რუსუდან ახვლედიანი, ნატო მათირიშვილი, მზია სულამანიძე | შპს სულაკაურის გამომცემლობა |
| 8. | I უცხოური ენა - ინგლისური NEW BUILDING BRIDGES 7 | თამარ ჯაფარიძე | „ბაკურ სულაკაური" 2019 |
| 9. | II უცხოური ენა - რუსული | მარინა ბარსეგოვა | შ.პ.ს.„ოცდამეერთე„2020 |
| 10. | მოქალაქეობა | მ. გოგოლაძე, ე. სიმსივე, მ. ჯინჭარაძე | „კლიო" 2019 |
| 11. | ფიზიკა | ქ. ტატიშილი | შპს გამომცემლობა „დიოგენე" |
| 12. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | მ. მეხამიშვილი, ნ. კუნჭულია, ნ. მიქაბერიძე | შპს გამომცემლობა „დიოგენე" |
| 13. | მუსიკა | ო. ოთიაშვილი, ი. მიქაძე | „წყაროსთვალი" 2019 |
| 14. | სპორტი | შოთა ხაბარელი | შოთა ხაბარელი |
| 15. | სპორტი | ინტერნეტ გვერდი | ინტერნეტ გვერდი |

VIII კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ლიტერატურა | ვ.როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი | „სწავლანი„/2020წ. |
| 2. | ქართული ენა | ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი | „სწავლანი„/2020წ. |
| 3. | მათემატიკა | თ.ბექაური, ა. საგინაშვილი, გ. ბექაური | ავთანდილ საგინაშვილი |
| 4. | ისტორია | ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ფირცხალავა | შ.პ.ს. „დიოგენე„ /2020 |
| 5. | გეოგრაფია | მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე, მ. სეხნიაშვილი | „ბაკურ სულაკაური"/2012 |
| 6. | სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა) | ს. ბაჩილავა, დ.ლოსაბერიძე | შ.„პ.ს. „დიოგენე„ |
| 7. | ბიოლოგია | ე.ზაალიშვილი, თ.ზარდიაშვილი | „ტრიასი" |
| 8. | ფიზიკა | ქ. ტატიშვილი | „შ.პ.ს. გამომცემლობა დიოგენე/2020 |
| 9. | I უცხოური ენა - ინგლისური NEW BUILDING BRIDGES 8 | თამარ ჯაფარიძე | „შ.პ.ს. სულაკაურის გამომცემლობა 2020 |
| 10. | II უცხოური ენა - რუსული | მარინა ბარსეგოვა | შ.პ.ს.„ოცდამეერთე„2020 |
| 11. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | მ. მეხამიშვილი, ნ. კუნჭულია, ნ. მიქაბერიძე | „დიოგენე" 2020 |
| 12. | მუსიკა | მ.ოთიაშვილი, ი. მიქაძე | საერთაშორისო ასოციაცია „წყაროსთვალი" |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13. | სპორტი | ლ. აფციაური, მ. ტულეში | „დიოგენე"/2012 |
| 14. | სპორტი | ინტერნეტ გვერდი | ინტერნეტ გვერდი |
| 15. | ქიმია | თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია, თამარ ხატისაშვილი, მარინე კუჭუხიძე, | „შ.პ.ს. საქართველოს მაცნე„/2020 |

IX კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ვ. როდონაია; ნაკუდაშვილი, არაბული, ხუციშვილი | „სწავლანი" 2012წ. |
| 2. | მათემატიკა | თ.ბექაური, ა.საგინაშვილი, გ. ბექაური | ავთანდილ საგინაშვილი |
| 3. | ისტორია | ნ. ახმეტელი, ზ. ლორთქიფანიძე, ა.თაბუკაშვილი | „ დიოგენე" |
| 4. | გეოგრაფია | მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე, მ. სეხნიაშვილი | „ბაკურ სულაკაური"/2012 |
| 5. | სამოქალაქო განათლება | მ.გოგოლაძე, ე.სიმსივე, მ.ჯინჭარაძე | „კლიო" 2019 |
| 6. | ბიოლოგია | ე.ზაალიშვილი, თ.ზარდიაშვილი | „ტრიასი" |
| 7. | ფიზიკა | ქ. ტატიშვილი | „დიოგენე"/2012 |
| 8. | ქიმია | თ. ბუთხუზი, თ. ხატისაშვილი, ს. ფაცაცია | „მაცნე"/2007 |
| 9. | I უცხოური ენა -ინგლისური Right on 3 | თ.ჯაფარიძე | შპს სულაკაურის გამომცემლობა |
| 10. | II უცხოური ენა - რუსული | მარინა ბარსეგოვა | შ.პ.ს.„ოცდამეერთე„2020 |
| 11. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ა. კლდიაშვილი | „კლიო" 2012 |
| 12. | მუსიკა | მ. ჩიკვაიძე | „ინტელექტი" |
| 13. | სპორტი | ლ. აფციაური, მ. ტულეში | „დიოგენე"/2012 |
| 14. | სპორტი | ინტერნეტ გვერდი | ინტერნეტ გვერდი |

X კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ლ.თუშური, ნ.შარაშენიძე, ჯ.წიქარიშვილი, ე.დონაძე | „დიოგენე" |
| 2. | მათემატიკა | თ.ბექაური, ა.საგინაშვილი, გ. ბექაური | ავთანდილ საგინაშვილი |
| 3. | ისტორია | ნ.ახმეტელი, ზ.ლორთქიფანიძე, ა.თაბუკაშვილი | „ დიოგენე" |
| 4. | გეოგრაფია | მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე, მ. სეხნიაშვილი | „ბაკურ სულაკაური"/2012 |
| 5. | სამოქალაქო განათლება | ს. ბაჩილავა, დ.ლოსაბერიძე | შ..პ.ს. „დიოგენე„ |
| 6. | ბიოლოგია | ე.ზაალიშვილი, თ.ზარდიაშვილი | „ტრიასი" |
| 7. | ფიზიკა | ქ. ტატიშვილი | „დიოგენე"/2010 |
| 8. | ქიმია | თ. ბუთხუზი, თ. ხატისაშვილი, ს. ფაცაცია | „მაცნე"/2007 |
| 9. | I უცხოური ენა ინგლისური GATEWAY BI | თ.ჯაფარიძე | შპს სულაკაურის გამომცემლობა |
| 10. | II უცხოური ენა - რუსული | მ. ბარსეგოვა IX კლასის სახელმძღვანელო | შ.პ.ს.„ოცდამეერთე„2020 |
| 11. | სპორტი | ლ. აფციაური, მ. ტულეში | „დიოგენე"/2012 |
| 12 | სპორტი | ინტერნეტ გვერდი | ინტერნეტ გვერდი |

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

XI კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ნ.მუზაშვილი, ნ.ჩუბინიძე, ნ.შარაშენიძე | „დიოგენე" |
| 2. | მათემატიკა | გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია | „ინტელექტი" |
| 3. | ისტორია | ნ.ახმეტელი, ნ.ფირცხალავა, გ.აბდალაძე | „ დიოგენე" |
| 4. | გეოგრაფია | ზ.დავითაშვილი,ნ.ელიზბარაშვილი,დ.ფადავა | „მერიდიანი", „კლიო" |
| 5. | ბიოლოგია | რ.ახვლედიანი, მ.მაყაშვილი, მ.სულამანიძე | „მერიდიანი", „კლიო" |
| 6. | ფიზიკა | გ.გედენიძე, ე.ლაზარაშვილი | „ინტელექტი" |
| 7. | ქიმია | მ. ვარდიაშვილი | „ინტელექტი"/2012 |
| 8. | I უცხოური ენა - ინგლისურიGATEWAY B1+ | -David Spencer | MACMILAN |
| 9. | II უცხოური ენა - რუსული | მ. ლორთქიფანიძე; ი. ჩხეიძე ს VI | „არტანუჯი"/2012 |
| 10. | სპორტი | ბ. იოსებაშვილი | „ტრიასი"/2012w. ასევე, ინტერნეტ გვერდი |

XII კლასი

| N | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტ. | ნ.მუზაშვილი, ნ.ჩუბინიძე, ნ.შარაშენიძე | „ დიოგენე" |
| 2. | მათემატიკა | გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია | „ინტელექტი" |
| 3. | ისტორია | ნ.ახმეტელი, ნ.ფირცხალავა, გ.აბდალაძე | „ დიოგენე" |
| 4. | I უცხოური ენა -ინგლისური GATEWAY B1+ | David Spencer | MACMILAN |
| 5. | II უცხოური ენა - რუსული | მ. ლორთქიფანიძე; მ. ჩხეიძეს. ს.VII | „არტანუჯი"/2012 |
| 6. | სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება | ნ. ტალახაძე | ეკონ.განათ.დაგანვ.ცენტრი „სიდი"/2012. |
| 7. | სპორტი | ლ. აფციაური, მ. ტუღუში | „დიოგენე"/2010წ. ინტერნეტ გვერდი |

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

15.2. I-XII კლასებში 2022-2023 სასწავლო წლის განმაელობაში გამოსაყენებელი დამხმარე ლიტერატურის ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი კლასებისა და საგნების მიხედვით

| კლასი | საგანი | ავტორი | გამომცემლობა/წელი |
|---|---|---|---|
| დაწყებითი საფეხური | | | |
| I - III | ქართული | „კლასგარეშე საკითხავილიტერატურა"- ზ.სარია | „საქართველოს მაცნე"/2005 წ. |
| | ქართული | „ქართული ენა" - ვ.რამიშვილი | „ლამპარი"/2002 წ. |
| IV | ქართული | ქ. თოფაძე, ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი | „სწავლანი"/2011წ. |
| V - VIII | ქართული | „ქართული ენა" - ვ. როდონაია | „საქართველოს მაცნე" |
| | ქართული | ს.ს. ორბელიანის განმ. ლექსიკონი" | |
| | ქართული | ქართული ენა და ლიტერატურა - ვ. როდონაია | „სწავლანი"/2011წ. |
| | ქართული | „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები" | „უნივერსალი"/2002წ. |
| | ქართული | ქართული პოეზია ტ.VIII; XII | „ნაკადული"/1982წ. |
| საბაზო და საშუალო საფეხური | | | |
| | ქართული | ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", ტომიVI | თ.შარაშენიძე;მ.მესხიშვილი მეცნ აკად.გამ-ბა, თბ.1960 წ. |
| | ქართული | სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული", ტომი I | გამომცემლობა „მერანი" 1991 |
| | ქართული | „ქართული მწერლობა" - ტომი I – II; | ""ნაკადული"1987 |
| | ქართული | ქართული პოეზია, ტომი VIII; | "ნაკადული"1978წ |
| | ქართული | ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები; | გ.ალიბეგაშვილი, გამ-ბა „განათლება" 1962წ. |
| | ქართული | ძველი ქართული პოეზია, ტომი I; | „ნაკადული" 1979 წ. |
| | ქართული | ქართული მწერლობა სკოლაში, I-IV ტომი; | გამომცემლობა „საქართველოს მაცნე" 2008 წ. |
| | ქართული | ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა; | „განათლება" 1974 წ. |
| | ქართული | სულხან-საბა ორბელიანის „თხზულებანი"; | ალ. ბარამიძე, ე.მეტრეველი; „საბჭოთა საქართველო"1962 |
| | ქართული | სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები | ნ.გრიგალაშვილი, გამ-ბა „უნივერსალი" 2004 წ. |
| | ქართული | მწერალთა ბიოგრაფიები | მ.გოგოლაძე-გაბუნია 2005წ. |
| | ქართული | სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონები; | |
| | ქართული | „ქართულიენა"-ა.არაბული, ქ.რეხვიაშვილი, ნ.შარაშენიძე, მ. მაყლაშვილი | „წყაროსთვალი" |
| VII | ქართული | მ. ხვედელიძე, ნ. ცხვედიანი | „საქართველოს მაცნე"/2005 |
| VIII | ქართული | ა. შანიძე; ლ. კვაჭაძე | „განათლება"/2004წ. |
| IX | ქართული | ა. შანიძე; ლ. კვაჭაძე | „განათლება"/2006წ. |
| I -III | მათემატიკა | მათემატიკა - ი. რუხაძე | „პედაგოგიკა"/2004წ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მათემატიკა | „მათემატიკა" - ნ. ლაგვილავა | „დიოგენე"/2008წ. |
| | მათემატიკა | „საგმაწვილო მათემატიკა"-ზ. ვახანია | „თბილისი"/2008წ. |
| | | | |
| IV | მათემატიკა | ი. რუხაძე | „პედაგოგიკა"/2005წ. |
| | მათემატიკა | „მათემატიკა" - ი. რუხაძე | „პედაგოგიკა"/20002წ. |
| | მათემატიკა | „მათემატიკა" - ნ. ლაგვილავა | „დიოგენე"/2006წ. |
| | მათემატიკა | „მათემატიკა" -გ. ბერიშვილი | „ბაკურ სულაკაური"/2009წ. |
| XII | მათემატიკა | გ. გოგიშვილი; თ. ვეფხვაძე | „ინტელექტი"2009 |
| IX | საქ.ისტორია | მ. ვაჩნაძე; ვ. გურული | „არტანუჯი"/2003წ |
| I-VII | სადვთო სჯული | ლ. ზუკია | 2009 წ. |
| VII - XI | ფიზიკა | 1. გ. გედევანიძე; ე. ლაზარიშვილი „ამოცანათა კრებული" | „ინტელექტი"/2007 |
| XI– XII | ფიზიკა | აბიტური ფიზიკაში.ქ.ტატიშვილი | „დიოგენე" |
| | | აბიტური ფიზიკაში. | ამც |
| VIII - XI | ფიზიკა | ამოცანათა კრებული.რინკევიჩი | „ განათლება" |
| VII | ბიოლოგია | დ. ლორთქიფანიძე | „კლიო"/2006წ. |
| VIII | ბიოლოგია | მ.სეხნიაშვილი, ნ. კობახიძე.ლ. ჯიმშელეიშვილი | „მერიდიანი,"კლიო" |
| IX | ბიოლოგია | მ.სეხნიაშვილი, | „კლიო" |
| X | ბიოლოგია | მ. სეხნიაშვილი | „კლიო" |
| XI | ბიოლოგია | ნ. ზაალიშვილი | „ტრიასი" |
| VII - XI | ქიმია | ანდრონიკაშვილი | „კლიო" |
| | ქიმია | მეტრეველი-დადიანიძე | „მერიდიანი" |
| | ქიმია | ადამია, ორგანული ქიმია, გაღრმავებული კურსი | „საქართველოს მაცნე" |
| | | | |
| III | ხელოვნება | „ხელოვნება" - ა. კლდიაშვილი | „კლიო"/2008 წ. |
| | I უცხოურიენა -ინგლ. | გრამატიკის სახ. Round up2; grammar practice (ე. ზამბახიძე, მ. ზამბახიძე) | |
| | II უცხოური ენა - რუს. | მარინა ბარსეგოვა-русский язык, დ01, დ 02 | „XXI"/2012წ. |

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

15.3. 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალი კლასების, საფეხურების და საგნების მიხედვით

I-XII კლასები

სკოლა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, იყენებს სხვადასხვა დამხმარე სასწავლო საგანმანათლებლო რესურსებს საგნის/საგნებისა და საფეხურების გათვალისწინებით.

დაწყებითი საფეხური:

1. თვალსაჩინოებათა პაკეტი – ქართული ანბანი და ი.გოგებაშვილის მოთხრობები
2. ქართული ანბანი - გ.ჭიჭინაძის საბავშვო ლექსები,ასწყობი 33 ფაზლი.
3. ქართველ მწერალთა პორტრეტები:
   - იაკობ გოგებაშვილი;
   - შოთა რუსთაველი;
   - ილია ჭავჭავაძე;
   - აკაკი წერეთელი;
   - ვაჟა ფშაველა;
   - გალაკტიონ ტაბიძე;
   - სულხან–საბა ორბელიანი;
   - ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების სურათები;
4. ბატიბუტას საბავშვო ენციკლოპედია 7 წიგნად;
5. ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა.

საბაზო და საშუალო საფეხური:

ქართული ენა და ლიტერატურა:

1. მწერლების და პოეტების პორტრეტები;
2. ინტერნეტი,ჭკვიანი დაფა და ფილმები;

მათემატიკა:

- ფარგალი;
- სახაზავი (სწორი, მართკუთხა 35⁰, მართკუთხა 45⁰);
- ტრანსპორტირი;
- პროექტორი;
- ჭკვიანი დაფა;
- კომპიუტერი;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

ისტორია

ისტორიული რუკები (დიდმასშტაბიანი)

- ძველი ეგვიპტე და შუამდინარეთი;
- ძველი სპარსეთის სახელმწიფო;
- ელინისტური სახელმწიფოები;
- რომისა და პართიის ომები; ძვ.წ. III-I სს–ში;
- არაბთა დაპყრობითი ომები VII-IX სს.
- ადრექრისტიანული საქართველო;

- საქართველო VII –VIIIსს;
- თურქ–სელჩუკთა და ჯვაროსანთა სახელმწიფოები;
- საქართველო XI-XII სს–ში;
- საქართველო მონღოლთა შემოსევის დროს;
- საქართველო IX – X სს – ში;
- საქართველო და სამხრეთი X IXს –ის II ნახ–ში;
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა1918–1921 წელი;

ისტორიული რუკები (მცირემასშტაბიანი)

- ქართველთა სამეფო და საკურაპალატო 888–1001წ;
- საქართველო და მსოფლიოXIII ს–ის დასაწყისში;
- ქართლის სერისმთავრო,არაბთა სახალიფო, ბიზანტია და ხაზარ სახაკანო VIII საუკუნის I ნახევარში;
- აფხაზთა სამეფო IX- X ს–ში;
- საქართველო 1920–1921 წლებში;
- საქართველო XVIII ს–ის II ნახევარში;
- ფინიკიური და ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ.XI -VIსს და ძველი ეგრისის სამეფო;
- საქართველო 1578– 1639 წწ;
- სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები ძვ. წ. IV- III ათასწლეულში;
- ქართული სახელმწიფოები, ბიზანტია და სპარსეთი V ის–ის შუა წლებში;
- ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა;

გეოგრაფია:

1. გლობუსი 2
2. რუკები:
   - ნახევარსფეროების რუკა;
   - რელიგიების რუკა;
   - კავკასიის რუკა;
   - საქართველოს ფიზიკური რუკა;
   - საქართველოს რეგიონების რუკა;
   - მსოფლიოს პოლიტიკური რუკა;
   - მსოფლიოს კლიმატური სარტყლების რუკა;
   - ევროპის პოლიტიკური რუკა;
   - ევროპის ფიზიკური რუკა;
   - ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბიოლოგია:

1. სინათლის მიკროსკოპი;
2. თვალსაჩინოებები:
   - გულსისხლძარღვთა სისტემა
   - სმენის ორგანო;
   - ნერვული სისტემა;
   - თავის ტვინის აგებულება;
   - მხედველობის ორგანო;
   - სახსრების აგებულება;

- სახსრები და მოძრაობა;
- სუნთქვის ორგანო;
- საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა;
- კანი;
- ფოთლის რბილობის განივი ჭრილი;

ქიმია:

1. პლაკატები:
   - პერიოდულისისტემისვრცელივარიანტი – 2;
   - წყალბადურიბმა;
   - ნაჯერი ნახშირწყალბადები;
   - უჯერი ნახშირწყალბადები;
   - ნივთიერებათა კრისტალური სტრუქტურები და აგრეგატული მდგომარეობები;
   - ელემენტთა წყალბადნაერთების თვისებები;
   - იონურიბმა;
   - ალდეჰიდები;
   - ატომის აღნაგობა,იზოტოპები,იზობარები;
   - კოვალენტურიბმა;
2. ქიმიური ჭურჭელი:
   - სინჯარები;
   - მენზურა;
   - სპირტნათურა;
   - მრგვალ ძირა და ერლენმეიერის კოლბა;
   - წვირი;
   - შტატივი;
   - ქიმიურიჭიქა.

ფიზიკა:

- ჭოჭონაქი;
- ურიკასაწვეთურით;
- კოლბები;
- მენზურა;
- ლინზა;
- სიმკვრივისცხრილი;
- ლაბორატორიული აჭურვილობა (იხ.დანართი);

უცხოური ენები:

- CD დისკები;
- ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა;
- თვალსაჩინოებები:
  ბარათი, სურათები;

**ესთეტიკური აღზრდის კათედრა**

**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:**

- ცნობილი მხატვრების ალბომები სერიიდან „ დიდი მხატვრები";
- აუდიო მაგნიტოფონი - 2;
- სასწავლო მოსასმენი მასალა – (CD)-I-IV, II, VI, VII, VIII, IX კლასები მ.ჩივვაიძე;
- სავარჯიშო ლეიბი - 4; ბურთები; ბაგირი; ფრენბურთის ბადე; კალათბურთის კალათა;
- ინტერნეტი და ჭკვიანი დაფა.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

15.4. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო

საფეხური________________________

საგანი ________________________

კლასი ________________________

მოსწავლე________________________________________

დაბადების თარიღი__________ასაკი______________________

მშობელი/მეურვე____________________________________

მისამართი/ტელეფონი/ელ.ფოსტა__________________________

შეხვედრის თარიღი___________________________________

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვადები__________დან __________ მდე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება________________

შეფასება ______________________________________

მონაწილეები ____________________________________

| ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები | დამხმარე კითხვები | შეფასება |
|---|---|---|
| ძლიერი მხარეები | | |
| პრობლემური სფეროები | | |
| მიზეზები | | |
| საჭიროებები | | |
| წლიური მიზანი | | |
| მოკლევადიანი მიზნები | | |
| პრაქტიკული საკითხები | | |
| პასუხისმგებელი პირები | | |

17.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი

მონიტორინგი განახორციელა -----------------------------------------------------------

| N | დასახული აქტივობები | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | |

## თავი XVI

### მუხლი 16. პედაგოგიური საბჭო

#### 16.1. ფუნქციები, თავმჯდომარის არჩევის პროცედურები, სხდომის ჩატარების პროცედურები

„გიმნაზიის" პედაგოგიური საბჭო არის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო. პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ სამჯერ. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას პედსაბჭოს წევრთა ერთი მესამედის ან/და რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ „გიმნაზიის" საჭიროებიდან გამომდინარე. პედაგოგიურ საბჭოზე ხმის უფლებით სარგებლობს ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ მოწვეულები. პედაგოგიურ საბჭოზე დასწრებისა და მონაწილეობის მიღება შეუძლია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პედსაბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვს მათი წარმომადგენლის მოსმენა. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.

ა. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომას წარმართავს პედაგოგიური საბჭოს მდივანი;

ბ. პედაგოგიურ საბჭოს კომპეტენციის საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ პედსაბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;

გ. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა;

დ. პედაგოგიური საბჭოს მდივანი აირჩევა ხმათა **უმრავლესობით 3 წლის ვადით;**

ე. პედაგოგიური საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან ერთად ადგენს სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ჩატარებამდე ახდენს თვალსაჩინო ადგილზე განთავსებას;

ვ. პედაგოგიური საბჭოს მდივანი სხდომის მიმდინარეობისას აკეთებს საოქმო ჩანაწერს;

ზ.პედაგოგიური საბჭოს მდივანი ვალდებულია სხდომის დამთავრებიდან ათი დღის განმავლობაში დაასრულოს ოქმი და დაბეჭდილ ფორმატზე უზრუნველყოს ხელმოწერების დაფიქსირება.

თ. შეიმუშაოს და განიხილოს პედსაბჭოს სხდომაზე, აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმა და უზრუნველყოს დასამტკიცებლად რექტორისათვის წარდგენა;

ი. საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის;

კ. განიხილოს და დაამტკიცოს კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების სამუშაო გეგმები;

ლ. პედსაბჭოს წევრებს გააცნოს „გიმნაზიის" შინაგანაწესი, დებულება, განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი გეგმები, პრევენციული ღონისძიებების გეგმა, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს რექტორი;

მ. აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად დაამტკიცოს სასწავლო მასალა/რესურსები, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხა.

## თავი XVII შეფასება

**მუხლი 17. მოსწავლის შეფასების კომპონენტები**

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები შეიძლება შეფასდნენ შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები შეიძლება შეფასდნენ:

ა) ვარიანტი I – მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII-XII კლასები), შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები);

ბ) ვარიანტი II – შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საკლასო და საშინაო დავალებებში სკოლის გადაწყვეტილების შესაბამისად. ასევე შესაძლებელია, სკოლამ შემაჯამებელი დავალებების ქულებთან ერთად დაწეროს მიმდინარე საკლასო და/ან საშინაო დავალებების ქულები, თუმცა, არ იანგარიშოს სემესტრული ქულის გამოთვლისას. ვარიანტი II-ის არჩევის შემთხვევაში, სკოლამ სამინისტროში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, ასევე სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების ტიპობრივი დახასიათება და ჯამური მინიმალური რაოდენობა.

3[1]. ის მოსწავლეები (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), რომლებიც პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, სემესტრის 1/3-ზე მეტი ხნით დისტანციური სწავლების პირობებში, სკოლის მიერ დაზუსტებული ობიექტური მიზეზებით, ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ ერთვებიან სასწავლო პროცესში (ფიზიკურად და/ან დისტანციურად) პირველი სემესტრის განმავლობაში, ფასდებიან მინიმუმ ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალების საფუძველზე. თუ მოსწავლეს დისტანციური სწავლების ფორმაზე გადასვლამდე მიღებული აქვს შეფასება, სემესტრული ქულა გამოითვლება ამ ქულის/ქულების და შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებაში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკულით. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების დანიშვნა/ჩატარება საჭიროებისამებრ დისტანციურად ან ფიზიკურად (მათ შორის სკოლის ტერიტორიაზე), შესაბამისი წესების დაცვით. კომპლექსური დავალების წარდგენა და მოსწავლის შეფასება უნდა მოხდეს არაუგვიანეს მეორე სემესტრის პირველი კვირის ბოლომდე დისტანციურად ან ფიზიკურად. სასურველია, სკოლამ მსგავსი პრობლემების მქონე მოსწავლეებს მეორე სემესტრში ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე გასვლის მიზნით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს. სურვილის შემთხვევაში, კერძო სკოლა უფლებამოსილია კომპონენტების წონა განსაზღვროს განსხვავებულად.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის

შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

9[1]. იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის 1/3-ზე მეტი დისტანციური სწავლების ფორმით მიმდინარეობდა, სკოლას უფლება აქვს შეამციროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რაც უნდა აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამ შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა დაემთხვევა სემესტრის განმავლობაში ნასწავლი თემების რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნიმერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

**მუხლი 18. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები**

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;

გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე;

დ) საფეხურის ქულა – საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.